# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 17 ოქტომბერი 1995 № 67 (205) · ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვება გაგვისამდა!

კალათბურთელებისა და ფეხბურთელების გამარჯვებათა ესტაფეტა მორაგბეებმა აიტაცეს: კვირას სძლიეს გერმანია, რომელიც მსოფლიო რაგბში დიდი ვერაფერი ძალაა, მაგრამ თამაში რომ შეძლებია, მატჩმაც გვიჩვენა.

იხილეთ მეხუთე გვერდი







გარმანელებს მუშტი-კრივიც კარგი სცოდნიათ, ჩვენებმა კი თავი ანგარიშიანობით გამოიჩინეს: საგოლე თუ სალელოე მომენტი ხელიდან თითქმის არ გაუშვიათ.

ნოემბერში გურამ მოდებაძის შეგირდებს ორი გასვლა ელით — დანიასა და ჰოლანდიას ეწვევიან.

გია ახალაძის ფოტოები

## თურქებთან გაზიარებული V ადგილი

სლოვაკეთის ქალაქ ტრნავაში კვირას დასრულდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი ძიუდოში. საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილისთვის შეხვედრა 3:4 დათმო დიდ ბრიტანეთან და საბოლოოდ თურქეთთან ერთად 5-6 ადგილები გაიყო.

ბრიტანელებთან შეხვედრა ორი მარცხით დავიწყეთ — ნესტორ ხერგიანსა (60 კგ) და გიორგი ვაზაგაშვილის (65 კგ) ხელი მოეცარათ. მდგომარეობა გურამ მოდებაძემ (71 კგ) გამოასწორა, მაგრამ სოსო ლიპარტელიანის (78 კგ) მარცხის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მესამე ადგილი დაკარგულია. საქმე ისაა, რომ 86 კგ წონაში მონაწილე არა გვყოლია. ივერი ჯიქურაულს ტოკიოში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნეკნი გაუტყდა, მაგრამ ეს მხოლოდ სლოვაკეთში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გახდა ცნობილი. სხვა მოჭიდავის საბუთების გაფორმება ვერ მოესწრო, ამიტომაც ამ წონაში წაგება მოგვესაჯა. მევლუდ ლობჟანიძემ (95 კგ) და დავით ხახალეიშვილმა (მძიმე წონა) თავიანთი შეხვედრები წმინდად კი მოიგეს, მაგრამ საქმეს ალარაფერი ეშველა.

ევროპის გუნდური ჩემპიონი კი გახდა გერმანია, რომელმაც ფინალში რუსეთი დაამარცხა, ვერ ვიტყვით, რომ მსაჯების დაუხმარებლად. ბრიტანელებთან ერთად კი კიდევ ერთი მესამე ადგილზე საფრანგეთი გავიდა.

მირიან პირველი

გუშინ დაიწყო მეხუთე საკალათბურთო ეროვნული ჩემპიონატი. ასპარეზობა მეორე ჯგუფმა გახსნა. 23 ოქტომბერს კი ჩემპიონატში დანარჩენი 5 გუნდიც ჩაებმება: „ვითა“, „მერანი“, „თორსი“, „შევარდენი“ და სდასუ.

### საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში. ვერის ბაღი

16 ოქტომბერი, ორშაბათი

რუსთავი — ქუთაისი 83:65

რუსთავი: აბზიანიძე (19), კიკვიძე (7), ხაიაური (2), იაშვილი (5), მ.ბერუაშვილი (17), კეჭაყმაძე (17), მიქიაშვილი (3), გ.ბერუაშვილი (13)

ქუთაისი: ჭეიშვილი (2), გუმბერიძე (17), ჩიკვაშვილი, გუგუციძე (3), ბერეკაშვილი (24), ჯალაღონია, თურქაძე (8), სამხარაძე (6), ჩიხრაძე, მაჩალაძე (5)

მსაჯები: ს.მალალაშვილი, ა.როსტომაშვილი

დინამო — მაკაბი 129:66

დინამო: ჩიქოვანი, მაისურაძე (25), ულენტი (8), ცაგარეიშვილი (7), ბეჟანიშვილი (11), სხიერელი (6), კილაძე (18), ბერძენიშვილი (21), ცხვედიანი (33)

მაკაბი: ბერიძე (2), ტალაბაძე (4), დავარაშვილი (2), შველიძე, ტაბატაძე (3), კალანდაძე (5), ანდღულაძე (15), ხუხაშვილი (19), აბულაშვილი (8), ჩაჩხიანი (8)

მსაჯები: ნ.ჭეიშვილი, რ.გელოვანი

კაქტუსი — სოხუმი 91:32

კაქტუსი: გაგნიძე (2), აბულაძე (16), მეჭურჭლიშვილი, დავითულიანი (18), ოთიურიძე (12), აბრამიძე (10), ახალკაცი (13), ჩუბინიძე (14), ჩხეიძე (6)

სოხუმი: ქამუშაძე, ჯიგანია (5), ბენდიანიშვილი, ბერია (4), კვაჭაძე (8), წვერიკმაზაშვილი (15), კიკალიშვილი, კარტოზია, ვაშაკიძე

მსაჯები: ვ.ჭოტაშვილი, ო.ლებანიძე

სოხუმის გუნდმა ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ნაკლები ქულა მოაგროვა ერთ მატჩში. აქამდე ეს რეკორდი შარშანდელი „შევარდენისა“ იყო — 37 ქულა.

# გაბრაზდი, გოჩა!

**ნიჭიერი კაცი, სადაც უნდა ცხოვრობდეს, სრულყოფას გარემოს — ოჯახის, მეგობრების, პირობების და სხვათა ხელშეწყობით აღწევს. ასეთნი საკუთარ უნარს ხშირად დარდიმანდულადაც ეპყრობიან. საამისო მაგალითები საკმაოდ მოგვეძევება და შედეგიც არაერთი ვიცით: ერთი ხანობა იმედისმომცემნი ლამის უკვალოდაც იკარგებიან და მათ გახსენებაზე მხოლოდ დანანებით ამოიოხრებენ, რა ნიჭიერი კაცი დაიკარგაო. მიზეზი? — არასასურველი გარემო და, რაც მთავარია, ნებისა და სურვილის არქონა, დაეხვეწათ უნარი. მჯერა, გოჩა ჯამარაული ამ ყოველივეს აერიდება.**

**გოჩა ჯამარაული უდაოდ ნიჭიერია, თუმცა ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ დონისთვის, მისგან რომ ელიან. გვახსოვს გოჩას მიერ ბრწყინვალედ ჩატარებული ცალკეული მატჩები, ჩემპიონატის გარკვეული ეტაპები, თუმცა ეს ჯერ სტაბილურობაში არ გადაზრდილა. მიზეზი მრავალია, მათ შორის სიზარმაცეც. ამას თავად აღიარებს. ახლახან მორჩენილი ტრავმაც ელემენტარული სიზარმაცის გამო შეემთხვა...**

**...ერთი თვის წინ დილმის ბაზაზე შემთხვევით შევესწარი „დინამოს" ერთ-ერთი მწვრთნელის იური სტადუხინის საუბარს გია ჯიშკარიანთან და დათო ცომაიასთან. ამ დროს ბაზაზე გოჩა გამოჩნდა და იური სტადუხინმა სიტყვა მასზე ჩამოაგდო. „ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელი ბევრი არ მახსოვს, მაგრამ ზოგჯერ ზარმაცობს. წყალტუბოში მოთელვა დაიზარა და კუნთი გაუწყდა".**



— მართალია იურა — მეუბნება გოჩა — წინა ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში „სამგურალს" ვხვდებოდით. გასახდელში მოსათელი ადგილი არ იყო, თამაშისთვის ვერ მოვემზადე და პირველ ტაიმში კუნთი გამიწყდა. თუმცა, გასახდელს რას ვბრალებ, მოთელვა დამეზარა. კიდევ კარგი, კობა მათიაშვილისნაირი ექიმები რომ არიან. მისი დახმარებით სწრაფად განვიკურნე...

**— შეიძლება სასიამოვნო არ იყოს, მაგრამ ფაქტია — ზარმაცი ფეხბურთელის სახელი დაიმკვიდრე. რამდენჯერ დაგკვირვებივარ, ახლომდგომ მეტოქესთან ბურთისთვის არ გიბრძოლია...**

— ეს თვისება, ალბათ, ბავშვობიდან გამომყვა. მაშინ მწვრთნელები არ მაძალებდნენ უკან დახევას, ბურთისთვის ბრძოლას. მე შეტევის ორგანიზება მევალებოდა. ვიცი, რომ ეს ჩემი ნაკლია და უნდა გამოვასწორო, სხვაგვარად, ისევ მე წავაგებ.

...გოჩა და ბევრი მისი თანატოლი „დინამოში" თავის დროზე ДАВИТ ყიფიანმა მიიწვია, პირველად კი 35-ე სკოლაში მწვრთნელად მუშაობისას გაიცნო. ანალოგიური კითხვით ბატონ დავითსაც მივმართე — მან ხომ მშვენივრად იცის გოჩას ავ-კარგი.

— მე ვერ ვიტყოდი, რომ გოჩა ზარმაცია, უბრალოდ, რთული ხასიათი აქვს. ეს ბევრ ნიჭიერ ფეხბურთელს ახასიათებს, მაგრამ ნიჭიერ კაცთან ყოველთვის სასიამოვნოა მუშაობა. გოჩას სიზარმაცე, შეიძლება, გამოუცდელი თვალისთვის ჩანდეს. ასეთნი, მოედანზე თავქუდმოგლეჯილი რომ დარბიან, ისეთ მოთამაშეს ზარმაცს არ დაუძახებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ფეხბურთელი სხვაზე ჭკვიანია. ჭკვიანი ფეხბურთელი დასაკარგი ბურთისთვის არ გაიქცევა. ასეთებს კი ზარმაცებად მიიჩნევენ.

...გახსოვთ, ალბათ, ჯოტია ცაავას ცნობილი ფრაზა ფილმ „რეკორდიდან", ჯერ შემაგინოს და მერე ვუსვრიო. რატომღაც მსგავსი გოჩას ხასიათშიც დავინახე — სანამ არ გაცეცხლდება, მანამ საკუთარ შესაძლებლობებს სრულად არ ავლენს. თუ ავლენს, ყველაზე კრიტიკულ მომენტებში. გავიხსენოთ „ტიროლთან" შეხვედრა, შარშანდელი ჩემპიონატის მეორე წრე, როდესაც გუნდს განსაკუთრებით გაუჭირდა. სულ ცხელ-ცხელი ამბავი — ბულგარელებთან შეხვედრა. მახსოვს, შარშანდელი თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ „სამტრედიასთან" მარცხით გამწარებული გოჩა დაჭრილ ლომს ჰგავდა. იქადნიდა, მეორე თამაშს აუცილებლად მოვიგებთო. ვინც იმ თამაშზე იყო, გაიხსენებს, როგორ შეასრულა დანაპირები — იგი იმ დღეს საუკეთესო იყო მოედანზე და თამაშიც დინამოელებმა 5:1 მოიგეს. კრიტიკული ვითარება მისთვის საუკეთესო სტიმულია.

— მე კი არა, ნებისმიერი სპორტსმენი ასეა, თუ სტიმული არა აქვს და თუ არ გაცეცხლდა, ვერ ითამაშებს. „სამტრედიასთან" თასზე თბილისში შეხვედრისას დარწმუნებულნი ვიყავით, რომ მოვიგებდით. მეორე მატჩში, ეჭვიც არ იყო, შესაძლებლობების მაქსიმუმს გავიღებდით. როცა გუნდს უჭირს, სხვანაირად არც შეიძლება.

**— ალბანელებთან, ქინქლაძის არყოფნაში, უკეთ გამოჩნდა შენი შესაძლებლობა. შენი ბავშვობის მწვრთნელისგან მურმან გოგოლაძისგან გამიგია — როდესაც ლიდერის ფუნქციას გაკისრებდნენ, უკეთ თამაშობდი.**

— ასეთა ნებისმიერი მოთამაშე, როდესაც მისთვის სასურველ და შესაძლებელ ამპლუას დააკისრებენ. ქინქლაძე აქ არაფერ შუაშია.

...აქ დროებით შევწყვიტე ნაკრებზე საუბარი და გოჩას ვლადიკავკაზის „სპარტაკში" გადასვლაზე ჩამოვუგდე სიტყვა...

**— ეს საბოლოოდ გადაწყვიტე?**

— ვლადიკავკაზში მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდებიან, „ბრონდბიუსგან" ამის გამო შევიკავე თავი, თორემ, როგორ არ ვიცი, რომ მშვენიერი ქვეყანაა მშვენიერი პირობებით და უცხოელებიც ადვილად შემნიშნავდნენ. მაგრამ ყველა ფეხბურთელის ოცნება ჩემპიონთა ლიგაში თამაშია. მე ნორმალურ გუნდში უმაღლეს დონეზე თამაში მსურს.

**— აქამდე სხვებიც გიწვევდნენ და ყველა უარით გაისტუმრე. რომელიმეზე გული ხომ არ გწყდება?**

— არც ერთზე, მათ შორის არც „ბრონდბიუზე".

**— მართალია, „სპარტაკში" წასვლა ძმაკაცებმა ურჩიესო...**

— ძმაკაცი იმის ძმაკაცია, რაც უკეთესად მიაჩნია, ის გირჩიოს. ძმაკაცებმაც ის მირჩიეს, რასაც მე ვფიქრობდი.

...ვასილ მაისურაძე გოჩა ჯამარაულის ბავშვობის მეგობარია, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც გოჩას დანიის ნაცვლად „სპარტაკში" წასვლა ურჩია. რატომ?

— ВАСИЛ МАИСУРАДЗЕ: დანია მაინც დანიაა, იქაური ჩემპიონატიც სხვებთან შედარებით დაბალი დონისაა, რადგანაც ყველა ნორმალური დანიელი მოთამაშე უცხოეთის გუნდებში გამოდის. ეს იქიდანაც ვიცი, რომ დანიის ჩემპიონატის შეხვედრების ყურების საშუალება მაქვს. იქაური და რუსეთის ჩემპიონატის დონეები რომ შევადარე, ამ უკანასკნელს მივანიჭე უპირატესობა. თანაც, იმედი მაქვს, „სპარტაკი" ჩემპიონთა ლიგაში გამოვა და ამ მოსაზრების გამო „ბრონდბიუზე," ლაპარაკი დამთავრდა. ამასთან, ვლადიკავკაზში ჩვენი ბიჭები თამაშობენ და მათი დახმარებით გოჩას ყველა პრობლემა მოეხსნება. საერთოდ, ჩვენს საძმაკაცოში — გოჩა, მე, დათო ნეფარიძე, ნუგზარ ლობჟანიძე, ზაალ ქორჩლაძე — ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილებას ერთად ვიღებთ. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, რომ „სპარტაკში" წასვლით გოჩა არ ინანებს...

**— გოჩა, „სპარტაკში" და რუსეთის ჩემპიონატში ფიზიკურად ძლიერი მოთამაშეები არიან და თავიდან შესაძლოა გაგიჭირდეს...**

— საამისოდ ერთი მოსამზადებელი პერიოდი და პატარა მონდომება დამჭირდება. შემდეგ, ასე მგონია, ყველა პრობლემა მოგვარდება.

...ისევ დავით ყიფიანთან საუბარს დავუბრუნდები. რამდენად შეძლო ჯამარაულმა თავისი პოტენციის გამოვლენა? დღევანდელი პირობებიც რომ გავითვალისწინოთ, შეეძლო მას უკეთ თამაში?

— რათ თქმა უნდა, მის თამაშში პროგრესი არის — ფიზიკური კონდიციები და ტექნიკა დაეხვეწა. ბავშვობაში მის აქილევსის ქუსლად დარტყმა ითვლებოდა. ესეც გამოასწორა. წინა სეზონში, როდესაც „დინამო" წამყვანმა მოთამაშეებმა დატოვეს, გოჩა გუნდის ლიდერად იქცა და მისი წყალობით არაერთი თამაში მოვიგეთ. თუმცა პოტენცია მხოლოდ გამუდმებული შრომით გამოვლინდება. არ მეგულება არც ერთი ვარსკვლავი, გულხელდაკრეფილს სტაბილურად ძლიერად რომ ეთამაშოს. სწორედ გარჯას მოსდევს პროგრესი. თუ საკუთარ ნაკლზე ბევრს იმუშავებ, ბევრსაც მიაღწევ. გოჩა თავის ფიზიკურ კონდიციებს ბოლომდე არ ამჟღავნებს და ამაზე დიდი შრომა დასჭირდება.

ამას თავად გოჩაც ხვდება.

— რომ მითხარი, ზარმაცის სახელი გაქვსო, შეიძლება, ასეც იყოს. თუმცა, სიმართლე რომ გითხრა, ამას ჩემს თავს ვერ ვამჩნევ. საერთოდ, მე ხასიათის ფეხბურთელი ვარ. შეიძლება თამაში წამივიდეს და შეიძლება ფეხიც ვერ გავანძრიო.

**— უხასიათოდ მყოფს მწვრთნელისთვის თუ გითხოვია, მოედანზე არ გამიშვაო?**

— თუ მენდობიან და იმედი აქვთ, მაშინ უხასიათობას ვივიწყებ. ამ დროს შენს თავს უნდა აჯობო.

**— მოგიხერხებია ეს როდესმე?**

— როგორ არა!-თანაც ბევრჯერ. პირველად ეს „ლინფილდთან" შევძელი. იმ დღეს გაციებული ვიყავი და თავს ცუდად ვგრძნობდი. მაგრამ გასახდელიდან გამოსულმა სავსე ტრიბუნები რომ დავინახე, ძალაც მომეცა და ავადმყოფობაც დამავიწყდა.

**— შენი თამაშით კმაყოფილი თუ დარჩენილხარ?**

— მსგავსი განცდა „ტიროლთან" გამარჯვებამ მომიტანა, მაგრამ რაც ბულგარეთთან შეხვედრის შემდეგ ვიგრძენი, ძნელი გადმოსაცემია. როდესაც ასეთი დონის გუნდს მოუგებ, კმაყოფილებაც დაგეუფლება, სიხარულიც და ბევრი სხვა სასიამოვნო გრძნობაც. თუმცა, აქამდე მე ჩემი თამაშით კმაყოფილი არ ვყოფილვარ. აი, მოლდოველებთან კი აბსოლუტურად უკმაყოფილო დავრჩი. ფეხიც ვერ გავანძრიე.

**— დღეს უკვე გარკვეული შეხედულება ჩამოგიყალიბდებოდა შენს შესაძლებლობებზე და პასუხიც გექნება კითხვაზე — შეძლებ თუ არა ნორმალური ქვეყნის ნორმალურ გუნდში თამაშს?**

— თუ ძლიერ ჩემპიონატში ვითამაშებ და კარგი პირობები მექნება, პროფესიონალად ჩამოვყალიბდები და ასეთ შემთხვევაში მე კი არა, ნებისმიერი დინამოელი და ნაკრების წევრი მოახერხებს ამას. ბულგარეთთან მატჩმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამაში.

**— კლუბში და ნაკრებში ვის მიიჩნევ საუკეთესო პარტნიორად?**

— ნემსაძეს, რომელიც საყრდენის ადგილზე კარგი და აზრიანი თამაშით ძლიერ მეხმარება. ვგრძნობ მის ძალას და ამით მეც „ვიხსნები". თავდასხმაში კი ყაველაშვილი მიგებს უსიტყვოდ, ისე გაიხსნება, რომ გადაცემას მიადვილებს.

რას ფიქრობენ გოჩაზე მისი საუკეთესო პარტნიორები?

ГИА НЕМСАДЗЕ: რასაც ახლა ვიტყვი, მისთვის არასდროს მითქვამს და არც არასდროს ვეტყვი. თუ წაიკითხავს, წაიკითხოს — ჩემი აზრით, იგი დიდი ფეხბურთელია, დიდი პოტენციის და ფანტაზიის პატრონი. მე გოჩას ბავშვობიდან ვიცნობ და ვიცი, როცა კარგ ფორმაშია, შრომატევად სამუშაოს ასრულებს, თამაშს აწყობს და მოედანზე ამინდს ქმნის.

ცხოვრებაშიც უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. მოედანი კი ცხოვრების ნაწილია და ეს ყველაფერი ჩვენს მოქმედებებში ჩანს.

МИХЕИЛ ყაველაშვილი: გოჩა პირველად „ტყავის ბურთის" პრიზზე ვნახე. მაშინ სხვადასხვა გუნდებში გამოვდიოდით. მახსოვს, მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. ახლოს 35-ე სკოლიდან გავიცანი, მას შემდეგ სულ ერთად მოვდივართ, ყიფიანმა ჯერ ოლიმპიური მომზადების ცენტრში, შემდეგ კი, 1988 წელს „დინამოში" მიგვიწვია. მასთან თამაში ერთი სიამოვნებაა, ძლიერი გამთამაშებელია და მსოფლიოს თავი უნდა გააცნოს. თუ „სპარტაკში" გადმოვიდა, ეჭვი არ არის, რუსეთშიც თავისას იტყვის. იგი „სპარტაკს" კი არა, ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა. მისნაირი თამაშის ორგანიზაცია „სპარტაკში" არავის ძალუძს. არ გეგონოთ, ამას ჩვენი მეგობრობა მალაპარაკებდეს.

ადრე გოჩას ერთი ნაკლი ჰქონდა — გოლები არ გაჰქონდა, პასებს ამჯობინებდა და ხელსაყრელი მომენტებიც უფუჭდებოდა. ბოლო დროს კი ამაზეც გაამახვილა ყურადღება. ახლა ისეთ ასაკშია, დაკაცდა, ჯანიც მოემატა და მეტს უნდა მიაღწიოს.

საერთოდ, ძმასთან ერთად არ ვყოფილვარ იმდენი ხანი, რამდენიც გოჩასთან, ერთმანეთის ჭირსა თუ ლხინს ვიზიარებდით მუდამ და, ბუნებრივია, მოედანზეც ერთმანეთის უკეთ გვესმის.

...11 ოქტომბერს გოჩამ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და გაგვაოცა. თამაშის წინ მითხრა, ჩემი გამოსვლა სათუოაო. ჩივაძემ კი ძირითად შემადგენლობაში დამაყენა. თუმცა, ამას მხოლოდ გამოსვლით ვერ უწოდებ. ახალ ტრავმამოშუშებულმა „სტოიჩკოველებს" დღე აყარა, მტერს არ უსურვებ კაცი.

— თამაშის წინ [illegible] მიწვევას აპირებდა. თავს ძალა დავატანე და მოვემზადე. შეხვედრის [illegible] მეტი წუთი გამიჭირდა. ნატკენი კუნთი დამიმძიმდა და ჯობდა, ჩემს ნაცვლად ვინმე შემოსულიყო.

**— ბულგარელებთან შენ საკმაოდ პრაგმატულად მოქმედებდი, ბურთს ადრინდელივით არ აჩერებდი და მეტსაც მოძრაობდი. ეს ჩივაძის დავალება იყო?**

— უბრალოდ, ბულგარეთის ნაკრებთან თუ სწორი ფეხბურთი არ ითამაშე, მოგების შანსი არ დაგრჩება.

**— ბულგარელებს ისე ეთამაშებოდი, თითქოს ფარერელი მეთევზეები იყვნენ — უშიშრად და შეუბორკავად...**

— რა შიში უნდა მქონოდა? ფეხბურთელი თუ ხარ, მეტოქის სიძლიერეს ყურადღება არ უნდა მიაქციო და შენი საქმე უნდა აკეთო.

**— ელოდი ასეთ შედეგს?**

— თამაშს კი და შედეგს, რა ვიცი...

**— ყველა მომენტი რომ გამოგეყენებინათ, ანგარიში უფრო დიდი იქნებოდა...**

— კარგიც იქნებოდა და მოგებაც სულ სხვა ელფერს შეიძენდა. 4:0 მოუგო ბულგარელებს, არ არის პატარა საქმე. მთელ მსოფლიოს ქართველები ეკერებოდა პირზე. თუმცა, არც ახლაა ნაკლები აჟიოტაჟი.

**— მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რაკილა მაყურებელმა გუნდის შესაძლებლობა დაინახა, ბუნებრივია, ცალკეული მოგებების ნაცვლად უკვე ფინალში გასვლას მოგთხოვენ.**

— მოსათხოვიც არის. ხომ მოვუგეთ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებს და ამისათვის ჩვენ შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა გავიღოთ.

...წინა ჩემპიონატის შემდეგ ზოგიერთი სპეციალისტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ჟურნალისტების მიმართ — „სარბიელის" გამოკითხვაში ჯამარაულისნაირ ფეხბურთელს სამეულშიც რომ არ შეიყვანთ, აბა იცით თქვენ ფეხბურთიო? ამ გამოკითხვით, მოგეხსენებათ, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ვლინდება. იქნებ გოჩასაც დასწყდა გული? მან ხომ შარშანდელი ჩემპიონატის მეორე წრე ბრწყინვალედ ჩაატარა...

— სიმართლე რომ გითხრა, არანაირი რეაქცია არ მქონია, რადგან ჩემი ფასი და შესაძლებლობა ვიცი, ჩემი ძალების მჯერა და პირველად დამასახელებენ, მესამედ, მეშვიდედ თუ, საერთოდ, არსად, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მე ხომ ვიცი, რაც შემიძლია.

...კიდევ უამრავი კითხვა დარჩა უპასუხოდ. მურმან გოგოლაძისა და თამაზ დოდაშვილისგან, რომლებმაც ფეხბურთი ასწავლეს გოჩას, ზურაბ მაისურაძისგან, რომელმაც დიდ ფეხბურთში გაუკვალა გზა ალექსანდრე ჩივაძისგან, რომელიც ნაკრების მომზადებით იყო დაკავებული. უპასუხო კითხვები მისი მშობლებისგანაც დამრჩა, რომლებიც ტელევიზორში უფრო ხშირად ხედავენ შვილს, ვიდრე შინ. ყველას ვერც ჩამოთვლი. თუმცა, იმედი მაქვს, გოჩა ისეთ დონეზე ითამაშებს, რომ ჟურნალისტები კიდევ მრავალჯერ მივაკითხავთ და მეც მივიღებ ჩემთვის საინტერესო ყველა კითხვაზე პასუხს... ერთის იმედიც მაქვს: საერთოდ, კაცი არ მეგულება, საკუთარ ნაკლზე ბევრი ლაპარაკი უყვარდეს, ამ წერილში კი გოჩა ბევრს ამოიკითხავს თავის ნაკლზე. შეიძლება გაბრაზდეს კიდეც. იქნებ ასეც ჯობდეს — გაბრაზებული გოჩა ჯამარაული ხომ მოედანზე ბრწყინვალეა...

მერაბ მამულაშვილი

გია ახალაძის
ფოტო

---



## ამისას რას გაიგებ...

ბულგარეთის ნაკრებსა და ხრისტო სტოიჩკოვს საქართველოში დიდი ზარზეიმით დახვდნენ, მაგრამ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა არც ქართულ მედიასთან დალაპარაკება იკადრა და არც სურათის გადაღება. „მეტეხში" თავზე ხელი წაიფარა და, „სადილის მერეო", ამის ძახილით შევარდა ლიფტში. არ ვიცით, რას გულისხმობდა ხრისტო სადილში — იმ დროს ხომ თბილისში უკვე ღამე იყო.

მეორე დღეს, ახალგაზრდული ნაკრების მატჩის შემდეგ, ვარჯიშზე, სტოიჩკოვი დედა ტერეზა გეგონებოდათ. ავტოგრაფებიც ბლომად არიგა, აუტის მიმწოდებელ თბილისელ ბიჭუნებთან ფოტებიც ბლომად გადაიღო. გასახდელში შესასვლელთან ვიდექი, როცა სტოიჩკოვი ვარჯიშის შემდეგ აქეთ გამოეშურა. იქვე ერთ-ერთმა ბიჭუნამ კალამი და ფურცელი მიაწოდა — ავტოგრაფი მაჩუქეთო. ევროპის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა კი პასუხად წყლიანი ბოთლი გაიქნია მისკენ და პატარა მთხოვნელი გაწუწა.

ბულგარელებთან მატჩის ბოლო წუთები იყო, სტუმრები უიმედოდ აგებდნენ და ყოველი წამი ეძვირფასებოდათ. მე ბულგარულ გაზეთ „7 დნი სპორტის" რედაქტორთან იული მოსკოვთან ერთად სამხრეთ ტრიბუნის კუთხესთან ახლოს ვიჯექი. ერთ მომენტში ბურთი პირით ხაზს გადასცდა. აუტის მოსაწოდებლად მიმავალმა გოგიჩაიშვილმა, ცხადია, თავი არ აიტკივა ბურთის მოტანით, არც აუტის მიმწოდებელ პატარა ბიჭს გამოუდვია თავი. ბურთისკენ გამწარებული სტოიჩკოვი გამოექანა და ტრიბუნების ღრიანცელში კარგა ხანს სდია მას. არ ვიცი, ის ბიჭი სტოიჩკოვის გაწუწული იყო თუ სხვა ვინმე, მაგრამ ფაქტია, თბილისელმა პატარებმა მაინც იძიეს შური სტოიჩკოვზე.

სტოიჩკოვი კი, არათუ ევროპის, პლანეტის ყველაზე დიდ ფეხბურთელადაც რომ აღიარონ, ჩემ თვალში მაინც იმ ხეპრედ დარჩება, როგორიც იმ წუთს იყო, როცა მისი ნიჭის პატარა თაყვანისმცემელს წყალს აწუწებდა.

გულით კი მეწადა სტოიჩკოვის ავტოგრაფი და იული მოსკოვიც შემპირდა, აუცილებლად გაგიხერხებო, მაგრამ აღარ შემიწუხებია, რადგან თვალწინ იმ პატარა ბიჭის გაოცებული სახე მედგა.

მამუკა კვარაცხელია

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

# ბევრი უნდა ვივარჯიშო

**გიორგი დემეტრაძე იმ ახალგაზრდა ფეხბურთელთაგანია, გულშემატკივრები იმედის თვალით რომ შესცქერიან. მას თანატოლთაგან თანამედროვე ფეხბურთისთვის აუცილებელი არაერთი თვისება გამოარჩევს: ფიზიკურად ძლიერია, არ ერიდება ორთაბრძოლებს, აქვს გოლის გატანის ალღო და კარგი დრიბლინგი. მხოლოდ დალვინება აკლია, ეს კი, მოგეხსენებათ, დროს მოაქვს. შრომა თუ არ დაიზარა, დარწმუნებული ვარ, კიდევ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი შეგვემატება. ახლახან მას 19 წელი შეუსრულდა, ეს კი ის ასაკია, როცა ფეხბურთელი, თუ შნო და უნარი აქვს, „ალმა მიდის". სპეციალისტების აზრით, მან მალე უნდა გააუმჯობესოს და დახვეწოს თამაში...**

**— 26 სექტემბერს იუბილარი ბრძანდებოდი, თანაც „დინამო" „დილას" ხვდებოდა, შენ კი სათამაშოდ არ გამოსულხარ...**

— ადვილი წარმოსადგენია, როგორ მინდოდა თამაში, მაგრამ ვერ იქნა და საბოლოოდ ვერაფრით მოვირჩინე მტკივანი ფეხი. ამიტომ გუნდის ექიმმა დასვენება მირჩია.

**— ჩვენი ჩემპიონატის მატჩებში ძირითადად მეორე ნახევარში გამოდიხარ, ორივე ტაიმისთვის ძალა არ გყოფნის თუ...**

— ძალა კი მერჩის და თანაც იმდენი, ოთხ ტაიმს ეყოფა, მაგრამ ეს მწვრთნელის ჩანაფიქრია. ამ ტაქტიკურმა სვლამ თითქმის ყველა მატჩში გაამართლა, ასე რომ, გამძლეობა აქ არაფერ შუაშია. მოვა დრო და ორივე ტაიმს ვითამაშებ, ოღონდ ძალიან მსურს ისე, რომ გულშემატკივრებს მოვეწონოთ.

**— ზოგჯერ შენს თამაშს არასტაბილურობა ეტყობა. დავით ყიფიანის აზრით, ეს ასაკის გამოა. შენ როგორ ფიქრობ?**

— მართალია. სტაბილურობამდე ბევრი მიკლია, ბევრი უნდა ვივარჯიშო და ვისწავლო. საკმაო გამოცდილება რომ დამიგროვდება, ალბათ სტაბილურობაც მოვა.

**— დღეს საქართველოში ყველა საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრობს, გამონაკლისი არც შენ იქნები...**

— უცხოეთში სათამაშოდ წასვლა და იქ ძალების მოსინჯვა ურიგო ნამდვილად არ იქნება, მაგრამ ჩემთვის ამაზე ფიქრი ნაადრევია და მზადაც არ ვარ.

**— „დინამოსთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

— ორწლიანი, რომლის ვადა გაისად იწურება. მერე ვნახოთ, როგორ აეწყობა საქმეები. უკეთეს შემთხვევაში, ალბათ, გავაგრძელებ ვადას — ერთი-ორი წლით მაინც.

**— შენი საუკეთესო პარტნიორი თავდასხმაში?**

— შეტევაში არაერთთან მითამაშია, მაგრამ იაშვილი ყველაზე კარგად მიგებს. ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის. როცა ბურთს მივიღებ, მან იცის, საით შევუტევ და ბურთს საჭირო ადგილზე დახვდება. მოკლედ, სასიამოვნო პარტნიორია.

**— შენს მიერ ჩატარებული მატჩებიდან საუკეთესოდ რომელს მიიჩნევ?**

— ჭიათურის „მაღაროელთან" შეხვედრას. ოთხი გოლი თავად გავიტანე, ერთიც ჩემი მოცელვისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანით შეაგდო თანაგუნდელმა. მატჩი კი 6:1 მოვიგეთ.

**— გატანილი გოლებიდან რომელი უფრო გახსოვს და რომელი იყო ყველაზე ლამაზი?**

— ყველაზე სამახსოვრო შარშანდელი თასის ფინალში ბათუმელთა კარში გატანილი გოლი იყო, რადგან ამ გოლმა „დინამოს" თასი მოაპოვებინა, ყველაზე ლამაზი კი, ჩემი აზრით, გურჯაანის „ალაზანის" კარში შეგდებული გოლია. მაშინ, 1994 წელს, თელავის „კახეთში" ვთამაშობდი.

**— როგორ გგონია, ამ ჩემპიონატშიც შეძლებს „დინამო" დუბლის შესრულებას?**

— ასეთი კონკურენცია ეროვნულ ჩემპიონატებში „დინამოს" ჯერ არ შეხვედრია. ძნელი და პრინციპული თამაშები მოგველის, მაგრამ „დინამო" მაინც „დინამოა". ვფიქრობ, დუბლს აუცილებლად გავახერხებთ.

**— როგორია შენი ოცნების გუნდი და რომელ ქვეყანაში ისურვებდი კარიერის გაგრძელებას?**



გიორგი დემეტრაძე

— ყოველთვის ვოცნებობდი, მეთამაშა მობილურ, ერთ მუშტად შეკრულ გუნდში, სადაც მოთამაშეებს ჩინებულად ესმით ერთმანეთის და ნებისმიერ ფეხბურთელს შეეძლება თამაშში გარდატეხის შეტანა. მოკლედ, ვოცნებობ ისეთ კლუბზე, როგორიც „მილანია". დიდი სიამოვნებით გავაგრძელებდი კარიერას იტალიაში.

**— გიორგი დემეტრაძეს და ბესო კირვალიძეს ხშირად ვხედავთ ერთად...**

— ბესო კირვალიძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს ფეხბურთელობაში და ახლაც დიდად მეხმარება. საკუთარი შვილივით მიყურებს. მისი დიდი მადლობელი ვარ, ვეცდები გავუმართლო.

**— როგორ მოხვედი ფეხბურთში, „დინამომდე" სად იყავი?**

— ექვსი წლისამ „ნორჩ დინამოელში" თენგიზ ჩარკვიანთან დავიწყე ვარჯიში, თხუთმეტისამ ბესო კირვალიძის თხოვნით თელავის „კახეთში" მოვსინჯე ძალა, ამის შემდეგ გივი ნოდიამ „დინამოში" მიმიწვია.

**— „მარგვეთთან" მარცხის მიზეზად რას დაასახელებ?**

— მხოლოდ ერთს ვიტყოდი — ეს იყო არა ფეხბურთი, არამედ წყალბურთი. ასეთ პირობებში თამაში შეუძლებელია.

**— რატომ გამოხვედი მხოლოდ მატჩის მიწურულს?**

[illegible]

უვარჯიშებელი ვიყავი და, ვფიქრობ, გუნდის ხელმძღვანელობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

**— ნაკრების მაისურზე არ ოცნებობ?**

— არც მეგულება ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებში თამაშზე არ ოცნებობდეს. რა თქმა უნდა, არც მე ვარ გამონაკლისი. ჯერ ადრეა, ჩემი დროც მოვა.

**— ახალგაზრდულმა ნაკრებმა, ეროვნულისგან განსხვავებით, ვერ ივარგა. შენ კი ბულგარელებთან პირველი ნახევრის შემდეგ გამოგცვალეს...**

— ვერ ავეწყვეთ, თამაში არ წაგვივიდა. ბულგარელებმა ყველაფერში დაგვჯაბნეს. მე ჩემთვის უჩვეულო პოზიციაზე, მარცხენა ნახევარმცველად ვითამაშე, ტაიმის შემდეგ კი მწვრთნელებმა ჩემი შეცვლა გადაწყვიტეს. მეტს ვერაფერს გეტყვი.

**— შენი აზრით, რა აკლდა ეროვნულ ნაკრებს საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზური მოეპოვებინა?**

— ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია, ერთადერთი, რაც აკლდა, გამოცდილება იყო და, ვფიქრობ, იგი მან უკვე მიიღო. ბულგარელებთან გამარჯვებამ ერთხელ კიდევ დაგვანახა მისი პოტენცია და ჩვენები მომავალშიც ბევრ გუნდს გაამწარებენ.

მამუკა კვანტალიანი

გია ახალაძის
ფოტო

# სპექტაკლი დაუწერელი სცენარით

გლაზგოს „სელტიკთან" მარცხით დამწუხრებული ბათუმი 7 ოქტომბერს კიდევ ერთი საერთაშორისო მატჩის მომსწრე გახდა. ოღონდ უცნაური ეგ იყო, რომ მაყურებელთა უმეტესობას თუ არა, სულ მცირე, ერთ მესამედს მაინც, თურქი მუშები შეადგენდნენ. ეს, ალბათ, გასაგებიცაა — ბათუმს ხომ იმ დღეს „ტრაბზონსფორი" სტუმრობდა, გაუგებარი ისაა, ქართველ მუშებსა თუ უმუშევრებს სხვა უფრო საინტერესო გასართობი საით ეგულებოდათ. თუმცა ალბათ, არც არსად, მაგრამ...

ბათუმისა და „ტრაბზონსფორის" ურთიერთობა ამ თამაშით არ დაწყებულა და არც ამით დამთავრდება, აი, შეხვედრის გამართვის მიზეზის, ამირან გოგიტიძის საფეხბურთო კარიერა კი სწორედ აქ დასრულდა. თამაში გვარიანად გახურებულიც არ იყო და აშკარად უვარჯიშებელი გოგიტიძე ჯერ წესიერად ბურთსაც არ შეჰხებოდა, რეპროდუქტორში სევდიანი ხმა რომ გაისმა. და ვეტერანი ერთბაშად ქართველთა და თურქთა მხრებზე ამაღლებული აღმოჩნდა. „მირჩევნია მაყურებელს ჩემი კარგი თამაში დაამახსოვრდეს, ვიდრე მოედნიდან შერცხვენილი წავიდე." ასეთი თავმდაბლობა გოგიტიძეს ნამდვილად დაუფასდა და ფეხბურთიდან არათუ შერცხვენილი, არამედ სამახსოვრო (თანაც ერთობ სასარგებლო) პრიზებით დახუნძლულიც წავიდა. ვერავინ იტყვის, რომ იმ ფეხბურთელისთვის, რომელსაც ათეულობით წლების მანძილზე ავად თუ კარგად ბურთი უგორებია, ეს თუნდაც მცირედი კომპენსაციაა, მაგრამ იმის გრძნობა, რომ მის ჯაფას ტყუილად არ ჩაუვლია, აქტიურ ფეხბურთთან განშორებისგან მოყენებული დიდი ტკივილის დასაამებელი მალამოა. თუკი გაცილების ცერემონიალი ადრევე მოფიქრებული და არცთუ ურიგოდ ორგანიზებულიც გახლდათ, ამის შემდეგ საბენეფისო მატჩებისთვის უჩვეულოდ დაძაბული და საინტერესო თამაში გაჩაღდა. გოგიტიძის ნაცვლად მინდორზე შემოსული ღლონტი ქართველთა მიერ გატანილი გოლების ფუძემდებელი გახდა, თუმცა მანამდე ამ დღეს შესანიშნავად მოთამაშე მირიან მალაყმაძის კარი პირველად და ბოლოჯერ შეარხია ტრაბზონელთა თავდამსხმელმა ხიფათმა. გაშვებული ბურთის შემდეგ ბათუმელები მშვენივრად ათამაშდნენ, თუმცა კი მაინც ჩამორჩებოდნენ ოსტატურად მოქმედ ათლეტურ თურქებს სწრაფ თამაშში. სტუმართა აზრით, მასპინძელთა გამარჯვება ვეტერანი ბათუმელი მსაჯების საქციელმა განაპირობა, მაგრამ სინამდვილეში ეს ძალთა ერთგვარი გათანაბრების ბრალი გახლდათ. საქმე ისაა, რომ ორთავ გუნდს საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში გამოძახებული 2-2 მოთამაშე აკლდათ: „ტრაბზონსფორს" — ტყუპები, ბათუმს — ტულუში და მუჯირი. მასპინძლები ამით მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ, რადგან უკანასკნელთ ღირსეული შემცვლელები მოუძებნეს, სტუმრებს კი, რაც იმ დღეს აკლდათ, სწორედ სახიფათო თავდამსხმელები. მართალია, თურქებმა არაერთხელ შეაწუხეს მალაყმაძე, მაგრამ თითქმის ყოველთვის რატომღაც უეშმაკოდ, მეკარისთვის დამიზნებით ურტყამდნენ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ გაამართლა ჩხარტიშვილის მორიგმა ექსპერიმენტმა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ვალერიანს ეს სიტყვა ლამის სალანძღავ სინონიმად ესმის, არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი ხელახალი აღმოჩენა: მან ქართულ ფეხბურთს კიდევ ერთი კარგი გამთამაშებელი მისცა, ოღონდ არა ვინმე ახალი, არამედ ოდინდელი ნახევარმცველი, შემდგომ კი ლიბეროდ გამწესებული მალხაზ მახარაძე. სწორედ მისმა მშვენიერმა პასებმა უჯმაჯურიძისა და დავით მახარაძის მისამართით იმდენი საფიქრალი გაუჩინა თურქებს, რომ ისინი სათადარიგო შემადგენლობის ყველა ფეხბურთელის გამოყენებამაც კი ვერ იხსნა მარცხისაგან. სწორედ ბათუმელ თავდამსხმელთა დუეტზე მოდის დანარჩენი ორი გოლი, აქედან ერთი, უჯმაჯურიძისა, პენალტით.

ვახტანგ ბზიკაძე

# სად ვიშოვოთ მილიონები?



ნუკრი კაკილაშვილი

**„განცვიფრებულნი ვართ, როგორ მოასწარით ასე მოკლე დროში ჩვენი დავალების ასე ხარისხიანად შესრულება. დიდად გმადლობთ..." ასეთი შინაარსის ფაქსი მიიღო ეროვნული სტადიონის დირექტორმა ნუკრი კაკილაშვილმა უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონისგან. ვისაც ამ ბოლო ხანს ჩვენი მთავარი სარბიელის განახლებული გასახდელები უნახავს, ადვილად მიხვდება, რაზეა ლაპარაკი...**

— მადლობის „ლომის წილი" უდაოდ ქალაქის მერს ნიკო ლეკიშვილს ეკუთვნის. სწორედ მის მიერ გადმორიცხული 10 000 დოლარის წყალობით შევძელით სამ კვირაში ამხელა სამუშაოს შესრულება. არადა, უეფამ, ფაქტიურად, ულტიმატუმი გამოგვიგზავნა — „თუ ამ პრობლემებს არ მოაგვარებთ, მაშინ..."

**— ეროვნული სტადიონი აშკარად დაგვიბერდა: წვიმა ტრიბუნებზე ატანს, სკამები მოძველდა, განათება არასაკმარისია... რაში ხედავთ გამოსავალს?**

— დავიწყოთ გადახურვით. ამ სამუშაოს გერმანული ფირმა „იბელი" აწარმოებდა. ამჟამად გადახურულია 70 პროცენტი. იცით, რა ჯდება გადახურვა? — 120 000 დოლარი? აბა, როგორ უნდა გავწვდეთ ამხელა ხარჯებს? ჯერჯერობით გადახურვა შეჩერებულია.

რაც შეეხება განათებას: მოგეხსენებათ, ფიფას მოთხოვნით განათება 1500-2000 ლუქსი უნდა იყოს, ჩვენთან კი 1000 ლუქსია. განათების გაძლიერება-გაუმჯობესებას 700 000 დოლარი სჭირდება.

მოგეხსენებათ, 1998 წლიდან არც ერთ სტადიონს, სადაც არ იქნება პერსონალური სკამები, ფიფა თამაშების ჩატარების უფლებას არ მისცემს. ჩვენი გაანგარიშებით, ჩვენს სტადიონზე დაახლოებით 60-65 ათასი პერსონალური სკამი დაეტევა. ამის შეძენა-ჩამოტანა-დამონტაჟება კი ერთ მილიონ დოლარამდე დაჯდება. უბრალო არითმეტიკითაც ცხადია, რომ თუ გვსურს ჩვენი ეროვნული სტადიონი გაახალგაზრდავდეს და ევროპული იერსახე შეიძინოს, არანაკლებ ორი მილიონი დოლარია საჭირო. დღეს ამხელა თანხების შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია.

**— გერმანელებთან მატჩის წინ ლაპარაკი იყო ძალიან დიდ შემოსავალზე. ისე ვიცოდით, მარტო რეკლამას რამდენიმე მილიონი გერმანული მარკა უნდა შემოეტანა. ნუთუ არ შეიძლებოდა ამ თანხის ნაწილის მაინც სტადიონის საკეთილდღეოდ გაღება?**

— ამ მატჩის ორგანიზატორი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იყო და რეკლამიდან შემოსული თანხაც მთლიანად მათ მიიღეს. წესით, მათ ჩვენთვის გარკვეული პროცენტი უნდა მოეცათ ამ შემოსავლიდან. რომ ვერაფერი მივიღეთ, არც ჩვენ გადავუხადეთ ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხის კუთვნილი 70 პროცენტი. მაგრამ ეს თანხა, იმასთან შედარებით, რაც რეკლამით მიიღეს — ზღვაში წვეთია...

**— სიტყვამ მოიტანა და, რატომ ღირდა ასე ძვირი საქართველო — ბულგარეთის მატჩის ბილეთები (ახალგაზრდული ნაკრების მატჩზე 1 ლარი, ეროვნული ნაკრებებისა — 2, 3 და 4)?**

— აქ სტადიონი არაფერ შუაშია. ნაკრებების მატჩზე ბილეთზე ფასს, როგორც წესი, ფეხბურთის ფედერაცია აწესებს.

**— ჩვენს მორაგბეთა მატჩს გერმანიასთან ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა. არადა, მახსოვს, ერთი პირობა ცივ უარზე იდექით — რაგბი მინდვრის საფარს აზიანებსო...**

— ახლაც ამას ვფიქრობ, მაგრამ ეროვნულ ნაკრებს უარი როგორ ვუთხრა?

**— ხომ არ ფიქრობთ, ხანდახან, სხვათა დარად, ეროვნულ სტადიონზე ესტრადის ვარსკვლავთა კონცერტების ჩატარებას? ეს ხომ დიდ შემოსავალს მოგიტანთ, თანაც ამ ბოლო დროს თბილისს ესტრადის არაერთი ვარსკვლავი ეწვია...**

— გვქონდა მაგაზე საუბარი, ზოგიერთი ფირმა კისრულობდა მადონას, უიტნი ჰიუსტონის და სხვა ვარსკვლავების ჩამოყვანას, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

**— ეროვნული სტადიონის გასაჭირი შორიდანვე თვალში საცემია. ისეთი პირი უჩანს, ორ მილიონ დოლარს კარგა ხანს ვერ იშოვით. რაში ხედავთ გამოსავალს?**

— მხოლოდ ჩვენი ძალებით მართლაც ვერას გავხდებით. ჩემი აზრით, თუ სტადიონი მუნიციპალური გახდება, როგორც სხვა ქვეყნებშია, შეიძლება ცოტა ამოვისუნთქოთ. საბოლოო ჯამში კი სტადიონი ზაქციო საზოგადოებად უნდა გარდაიქმნას — ეს შემოსავალსაც გაზრდის და სტადიონსაც მიეხედება. არადა, დრო არ ითმენს, ორ წელიწადში ფიფა პერსონალურ სკამებს მოითხოვს და...

მამუკა კვარაცხელია

## ფეხბურთის რუკასთან



**შვეიცარიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელმა ალენ სუტერმა ახალ კლუბს მიაგნო. ამიერიდან იგი ბუნდესლიგისავე „ფრაიბურგში" ითამაშებს. ამ საკითხის თაობაზე მოლაპარაკებები ციურიხში გაიმართა თავად სუტერს, „ბაიერნის" მენეჯერ ული ჰიონესსა და „ფრაიბურგის" პრეზიდენტ ახიმ შტოკერს შორის.

**ბრაზილიელი** მცველი, მსოფლიოს ჩემპიონი მარსიო სანტუში, რომელიც ამსტერდამის „აიაქსში" თამაშობს, სალვადორში ურუგვაისა და ბრაზილიის ამხანაგური შეხვედრის შემდეგ გასინჯეს და აქილევსის მყესის გაწყვეტა აღმოუჩინეს. ფეხბურთელს 13 ოქტომბერს რიო დე ჟანეიროში ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების აზრით, სანტუშის ფეხის რეაბილიტაციას სამ თვემდე დასჭირდება.

**ესპანელ** მსაჯებს უეფამ უკრაინული გუნდების მატჩების სჯა აუკრძალა. ამიტომაც იყო, წინა ოთხშაბათს სლოვენია — უკრაინის შეხვედრაზე დანიშნული ფერნანდეს მარტინესი ლუქსემბურგელი ჰამერით რომ შეცვალეს. როგორც ჩანს, უეფა ესპანელი არბიტრების მიმართ კიევის „დინამოს" გაძევების გამო უკრაინელთა შურისძიებას ერიდება.

**ესპანეთის** ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს" მოთამაშეს ხოსე კამინეროს, ნაკრების შემადგენლობაში წინა ოთხშაბათის დანიასთან გასვლითი შეხვედრის დროს მარცხენა ფეხზე კუნთი გაუწყდა.

**საფრანგეთის** მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად შესარჩევ შეჯიბრებებში 196 ქვეყანა ითამაშებს. ეს რეკორდია. 50 ქვეყანა ევროპიდანაა, 36 აფრიკიდან, 35 აზიიდან, 28 ცენტრალური ამერიკიდან (კონკაკაფის ქვეყნები), 10 სამხრეთ ამერიკიდან და ათიც ოკეანეთიდან. რაც შეეხება ამ გუნდების შესარჩევ ჯგუფებში განთავსებას, ეს პარიზში, ლუვრში, 12 დეკემბერს, თბილისის დროით საღამოს ცხრა საათზე მოხდება.

**არგენტინაში** ახალი აყალმაყალია. ცხადია, მასში დიეგო მარადონა მონაწილეობს. თურმე ვინმე ხულიო რამოსს, რომელსაც „ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტობა უნდოდა, საკუთარ გაზეთში დიეგო მჩხავანად მოუხსენიებია, რაზეც ფეხბურთელს პრეს-კონფერენციაზე უთქვამს, მაგ რქიანზე მეტს როგორ ვიჩხავლებდიო. რამოსის ცოლი ყოფილი „მის არგენტინა" ყოფილა. სიტყვამ „რქიანი", ცხადია, ქმრის თავმოყვარეობა შელახა. მას მერე ანგარიშის გასასწორებლად რამოსი თურმე სახლში ურეკავს მარადონას, ეს კი ცოლის პირით უთვლის, შინ არა ვარო.

**აშშ** 10-21 იანვარს მასპინძლობს კონკაკაფის „ოქროს თასის" გათამაშებას, რომელშიც ბრაზილიაც მიიღებს მონაწილეობას. თამაშები ლოს ანჯელესში, სან დიეგოსა და ანაჰაიმში გაიმართება.

## იტალია

### მილანი 2:1 იუვენტუსი

82 798 მაყურებელი

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ერანიო (ტასოტი 91), კოსტაკურტა, ბარეზი, დონადონი, დესაი, ვეა, ბობანი, სიმონე (დი კანიო 81)

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, სოუზა, ვერხოვოდი, ტაკინარდი, დი ლივიო (პორინი 81), დეშამი, ვიალი (მაროკა 54), დელ პიერო, რავანელი (კონტე 54).

გოლი: სიმონე (6), ვეა (14), დელ პიერო (81)

გაფრთხილება: ბარეზი, როსი, ერანიო, ვერხოვოდი, ტაკინარდი, ტორიჩელი, დი ლივიო

### ტორინო 2:2 რომა

20 000 მაყურებელი

ტორინო: ბიატო, სოლიანო (მორო 51), მილანეზე, ფალკონე, მალტალიატი, კრაველო (დელ კანტო 61), ბაჩი, კრისტალინი, დიონიჯი, პელე, ანგლომა

რომა: ჩერვონე, პ. ანონი, კარბონი (კერუბინი 47), სტატუტო, ალდაირი, ლანა, კაპიოლი, ტოტი (დი ბიაჯო 70), ბალბო (ფონსეკა 78), ჯანინი, ბრანკა

გოლი: პელე (15), ჩერვონე (26 საჯ. კარში), ბრანკა (35), კაპიოლი (41)

გაფრთხილება: სოლიანო, ბაჩი, დალ კანტო, სტატუტო, ლანა

### კალიარი 1:0 კრემონეზე

18 000 მაყურებელი

კალიარი: ფიორი, პანკარო (ბრესანი 78), პუშედუ, ვილა, ნაპოლი, ფორიკანო, ბიზოლი, სანა, სილვა, ოლივეირა (ლანტინიოტი 80), მუცი (ვენტურინი 58)

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, ჯანდებიაჯი, ან. ორლანდო, დალინია (ფერარონი 82), ვერდელი, პეტრაჩი, პეროვიჩი (ფლორიანჩიჩი 58), ფანტინი (კრისტიანი 58), მასპერო, ტენტონი

გოლი: ოლივეირა (44 პ.)

გაფრთხილება: სილვა, მუცი, პეროვიჩი, დალინი

### ატალანტა 1:1 ინტერი

32 000 მაყურებელი

ატალანტა: ფერონი, ლუპი (პიზანი 60), პავონე, ერერა, ა. პაგანინი, ბოზელი, ბონაჩინა, სგრო (სალვატორი 80), ტოვალიერი, მორფეო, ფორტუნატო (გალო 20)

ინტერი: პალუიკა, ძანეტი (პედრონი 62), კარლოსი, ფესტა, მ. პაგანინი, ბერგომი, ინსი, მანიკონე (გინელი 63), დელვეკიო, ფონტოლანი (გენტოფანტი 62), განცი

გოლი: ბოზელი (71 საჯ. კარი), მორფეო (84)

გაფრთხილება: ა. პაგანინი, მ. პაგანინი, პედრონი, ფონტოლანი

გაძევება: დელვეკიო (56)

### პიაჩენცა 3:2 სამპდორია

12 000 მაყურებელი

პიაჩენცა: სიმონი, პოლონია, მ. კონტე, დი ფრანჩესკო, როსინი, ლუჩი, ტურინი, ა. კარბონი, კაჩა (კაპელინი 78), კორინი (მაკოპი 86), პიოვანი (მორეტი 57)

სამპდორია: პაგოტო, ბალერი, საკეტი (სალსანო 76), კარემბუ (ბელუჩი 71), მანინი (ფერი 46), მიხაელოვიჩი, ზეედორფი, კიეზა, მანჩინი, მანიერო

გოლი: კორინი (15), პიოვანი (17), კაჩა (21), მანიერო (47), მანჩინი (92)

გაფრთხილება: ლუჩი, კარბონე, კონტე, მიხაელოვიჩი

85-ე წუთზე კორინიმ ვერ გაიტანა პენალტი

### ლაციო 2:0 პადოვა

50 000 მაყურებელი

ლაციო: მარკეჯანი, ნესტა, ფავალი, მარკოლინი, ნეგრო (რომანო 46), შამოტი, ესპოზიტო (პიოვანელი 85), ფუზერი, ბოკშიჩი, ვინტერი, რამბაუდი

პადოვა: ბონაიუტი, როსა, გაბრიელი, ჯამპიეტრო, კუიჩი (სკონციანო 79), ლალასი, ნუნციატა, კოპოლა, ფიორე (ჩოჩი 84), ლონგი, ამორუზო

გოლი: როსა (75 საჯ. კარში), ფუზერი 82

გაფრთხილება: რამბაუდი, ნუნციატა, კუიჩი, ფუზერი

### პარმა 1:0 უდინეზე

24 000 მაყურებელი

პარმა: ბუჩი, მუსი, ბენარივო, სენსინი, აპოლონი, კანავარო, პინი (ბრამბილა 71), დ. ბაჯო, კრიპა, ძოლა (ინძაგი 81), სტოიჩკოვი (მელი 67)

უდინეზე: ბატისტინი, პელეგი (კოზმინსკი 54), სერჯო, ამეტრანო, კალორი, რიპა, როსიტო, დეზიდერი, ბირპოფი, სტროპა, პოჯი (მარინო 79)

გოლი: მელი (76)

გაფრთხილება: ბაჯო, ბენარიო, სენსინი, მუსი, კალორი, ბირპოფი

### ვიჩენცა 2:0 ბარი

16 .121 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, სარტორი (ვივიანი 14), მენდესი (კასტანია 49), დი კარლო, ბიორკლუნდი, ლოპესი, როსი, ლომბარდინი, მურჯიტა, მაინი, ოტერო (ბრიასკო 86)

ბარი: ფონტანა, მონტანარი (პ. ანონი 62), მანგონე, მანიგეტი, სალა, რიჩი, გაუტიერი (ფიკინი 46), ჟერსონი (გერერო 46), ანდერსონი, პედონე, პროტი

გოლი: ოტერო (23, 43)

გაფრთხილება: ვივიანი, მანგონე

გაძევება: მანიგეტი (63)

### ნაპოლი 0:2 ფიორენტინა

64 464 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, ტარანტინო, ბორდინი, აიალა (პოლიკანო 83), კრუსი, ბუზო (ლონგო 88), ბოგოსიანი, აგოსტინი, პიცი, იმბრიანი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სერენა, კოისი, ამორუზო, მალუში, შვარცი, ბიჯიკა, ბატისტუტა, რუი კოშტა (მ. ორლანდო 83), ბაიანო (პიაჩენტინი 46)

გოლი: ტარანტინო (78 საჯ. კარში), მ. ორლანდო (86)

გაფრთხილება: აიალა, პარი, აგოსტინი, ბიჯიკა, შვარცი, პიაჩენტინი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 5 | 0 | 1 | 11-5 | 15 |
| პარმა | 6 | 4 | 1 | 1 | 10-6 | 13 |
| ლაციო | 6 | 3 | 3 | 0 | 12-6 | 12 |
| ფიორენტინა | 6 | 4 | 0 | 2 | 10-7 | 12 |
| იუვენტუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-4 | 11 |
| ნაპოლი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| ვიჩენცა | 6 | 3 | 1 | 2 | 6-4 | 10 |
| ინტერი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-5 | 8 |
| უდინეზე | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| ატალანტა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-8 | 8 |
| კალიარი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| პიაჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 7-14 | 7 |
| სამპდორია | 6 | 1 | 3 | 2 | 7-7 | 6 |
| რომა | 6 | 1 | 3 | 2 | 5-6 | 6 |
| ტორინო | 6 | 1 | 3 | 2 | 7-11 | 6 |
| ბარი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-12 | 5 |
| კრემონეზე | 6 | 0 | 1 | 5 | 5-12 | 1 |
| პადოვა | 6 | 0 | 1 | 5 | 4-12 | 1 |

## ჰოლანდია

IX ტური. პსვ ეინდჰოვენი — ვალვაიკი 4:0, გოუ ეჰედი — პრედა 1:1, გრენინგენი — როდა 0:1, უტრეხტი — ფორტუნა 2:3, ჰერენვეენი — სპარტა 4:0, ვოლენდამი — გრაფდისხაპი 1:1, ვილემ II — ფეიენოორდი 2:2, ტვენტე — აიაქსი 0:3, ვიტესი — ნაიმეგენი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 9 | 9 | 0 | 0 | 33-0 | 27 |
| პსვ | 9 | 7 | 1 | 1 | 25-6 | 22 |
| ვილემ II | 9 | 5 | 4 | 0 | 23-7 | 19 |
| ფეიენოორდი | 9 | 4 | 3 | 2 | 23-15 | 15 |
| ჰერენვეენი | 9 | 4 | 3 | 2 | 16-16 | 15 |
| გრონინგენი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-12 | 14 |
| ვალვაიკი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-14 | 13 |
| როდა | 9 | 2 | 5 | 2 | 6-7 | 11 |
| სპარტა | 9 | 3 | 2 | 4 | 10-18 | 11 |
| ფორტუნა | 9 | 3 | 2 | 4 | 9-18 | 11 |
| ბრედა | 9 | 2 | 4 | 3 | 11-10 | 10 |
| ტვენტე | 9 | 2 | 3 | 4 | 12-17 | 9 |
| ვიტესი | 9 | 2 | 3 | 4 | 11-17 | 9 |
| უტრეხტი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-15 | 8 |
| ნაიმეგენი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-22 | 8 |
| გოუ ეჰედი | 9 | 1 | 3 | 5 | 12-20 | 6 |
| გრააფდსხაპი | 9 | 1 | 3 | 5 | 12-20 | 6 |
| ვოლენდამი | 9 | 1 | 3 | 5 | 7-20 | 6 |

## ბელგია

XII ტური. სტანდარდი — ბრიუგე 1:0, გენტი — მეხელენი 0:0, სერკლ ბრიუგე — სერანჟი 0:0, ლიერსი — სტ.ტრიუდენი 3:0, მოლენბეკი — ეკერენი 1:0, ანტვერპენი — ბევერენი 1:1, ლომელი — ანდერლეხტი 2:2, აალსტი — შარლერუა 3:4, პარელბეკი — ვარეგემი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 12 | 8 | 2 | 2 | 27-9 | 26 |
| ლიერსი | 12 | 7 | 3 | 2 | 21-12 | 24 |
| სტანდარდი | 12 | 5 | 6 | 1 | 19-9 | 21 |
| ანდერლეხტი | 12 | 6 | 3 | 3 | 23-14 | 21 |
| მოლენბეკი | 12 | 5 | 6 | 1 | 13-10 | 21 |
| აალსტი | 12 | 5 | 4 | 3 | 19-13 | 20 |
| შარლერუა | 12 | 5 | 5 | 2 | 25-21 | 20 |
| პარელბეკი | 12 | 6 | 2 | 4 | 16-13 | 20 |
| მეხელენი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-22 | 16 |
| ბევერენი | 12 | 4 | 3 | 5 | 15-15 | 15 |
| სერკლ ბრიუგე | 12 | 2 | 8 | 2 | 14-17 | 14 |
| ანტვერპენი | 11 | 3 | 3 | 5 | 15-17 | 12 |
| სერანჟი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-20 | 12 |
| სტ. ტრიუდენი | 12 | 3 | 3 | 6 | 15-24 | 12 |
| ეკერენი | 11 | 2 | 5 | 4 | 15-15 | 11 |
| გენტი | 12 | 2 | 4 | 6 | 14-21 | 10 |
| ლომელი | 12 | 1 | 3 | 8 | 12-23 | 6 |
| ვარეგემი | 12 | 1 | 3 | 8 | 8-26 | 6 |

## ინგლისი

ყურადღების ცენტრში „ოლდ ტრეფორდზე" გამართული მანჩესტერული დერბი იყო. ამ სტადიონზე „სიტის" 1974 წლის მერე აღარ მოუგია და ტრადიცია ამჯერადაც არ დარღვეულა. მატჩის ერთადერთი გოლი იუნაიტედელმა სქოულზმა მეხუთე წუთზე გაიტანა. ინგლისური გაზეთების აზრით, ქინქლაძის გუნდმა სეზონში საუკეთესო თამაში აჩვენა, თავად ქართველი კი „სიტიში" საუკეთესო იყო. გიოს ორი ჩინებული პასი თანაგუნდელებს გაუცუდებიათ: ერთხელ როსლერმა ააცილა თური. მეორედ კი მეკარესთან პირისპირ დარჩენილ ქუინს ვერ უგარგია. ახლა „სიტი" შაბათს მშობლიურ „ელან როუდზე" ამ ტურში შერცხვენილ „ლიდს იუნაიტედს" შეხვდება. „მანჩესტერ იუნაიტედი": შმაიხელი, ნევილი, ბრიუსი, პალისტერი, ირვინი, ბექჰემი, ბათი, კინი (მაკლეირი 72), გიგზი, სქოულზი (შარპი 63), ქოული. „მანჩესტერ სიტი": იმელი, ეჯჰილი, ქურილი, საიმონსი, ფილანი, ლომასი, ქინქლაძე, ფლითქროფტი, ბრაითველი (სამერბი 58), ქუინი (ბრაუნი 79), როსლერი.

სხვა თამაშები: ასტონ ვილა — ჩელსი 0:1, ბლექბერნი — საუთჰემპტონი 2:1, ბოლტონი — ევერტონი 1:1, ლიდსი — არსენალი 0:3, ლივერპული — ქოვენთრი 0:0, ქვინზ პარკ რეინჯერსი — ნიუკასლი 2:3, შეფილდი — მიდლსბრო 0:1, ტოტენჰემი — ნოტინგემი 0:1, უიმბლდონი — ვესტ ჰემი წუხელ გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 9 | 8 | 0 | 1 | 20-6 | 24 |
| მანჩესტერ იუნ. | 9 | 6 | 2 | 1 | 17-10 | 20 |
| არსენალი | 9 | 5 | 3 | 1 | 13-5 | 18 |
| მიდლსბრო | 9 | 5 | 3 | 1 | 10-4 | 18 |
| ლივერპული | 9 | 5 | 2 | 2 | 15-7 | 17 |
| ასტონ ვილა | 9 | 5 | 2 | 2 | 12-5 | 17 |
| ნოტინგემი | 9 | 4 | 5 | 0 | 15-9 | 17 |
| ჩელსი | 9 | 4 | 3 | 2 | 10-7 | 15 |
| ლიდსი | 9 | 5 | 0 | 4 | 14-12 | 15 |
| ტოტენჰემი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-12 | 14 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 1 | 5 | 12-14 | 10 |
| უიმბლდონი | 8 | 3 | 0 | 5 | 13-16 | 9 |
| ქვინზ პარკი | 9 | 3 | 0 | 6 | 9-15 | 9 |
| ევერტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-14 | 8 |
| შეფილდი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-12 | 8 |
| ქოვენთრი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-17 | 7 |
| ვესტ ჰემი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-11 | 6 |
| საუთჰემპტონი | 9 | 1 | 3 | 5 | 8-16 | 6 |
| ბოლტონი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-19 | 5 |
| მანჩესტერ სიტი | 9 | 0 | 1 | 8 | 3-15 | 1 |

## ესპანეთი

VIII ტური. ბარსელონა — ატლეტიკი 4:1, ვალენსია — ბეტისი 1:1, კომპოსტელა — ოვიედო 4:1, სალამანკა — რეალი 0:2, ტენერიფე — რაიო ვალეკანო 2:2, ალბასეტე — სარაგოსა 0:1, რეალ სოსიედადი — მერიდა 1:2, სანტანდერი — ვალიადოლიდი 0:0, ატლეტიკო — დეპორტივო ლა კორუნია 1:0, ხიხონი — სელტა 1:0, სევილია — ესპანიოლი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 8 | 7 | 1 | 0 | 18-2 | 22 |
| ბარსელონა | 8 | 6 | 2 | 0 | 22-6 | 20 |
| ესპანიოლი | 8 | 6 | 1 | 1 | 16-4 | 19 |
| კომპოსტელა | 8 | 5 | 1 | 2 | 12-4 | 16 |
| ხიხონი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-9 | 14 |
| ვალენსია | 8 | 4 | 2 | 2 | 11-10 | 14 |
| ბეტისი | 8 | 3 | 4 | 1 | 9-9 | 13 |
| სარაგოსა | 8 | 4 | 1 | 3 | 5-8 | 13 |
| ატლეტიკი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-9 | 12 |
| რეალი | 8 | 3 | 2 | 3 | 16-12 | 11 |
| ლა კორუნია | 8 | 3 | 1 | 4 | 14-11 | 10 |
| ალბასეტე | 8 | 3 | 1 | 4 | 12-15 | 10 |
| ვალიადოლიდი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-7 | 9 |
| ტენერიფე | 8 | 2 | 3 | 3 | 9-12 | 9 |
| სანტანდერი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-17 | 8 |
| სოსიედადი | 8 | 2 | 1 | 5 | 10-12 | 7 |
| მერიდა | 8 | 1 | 4 | 3 | 6-9 | 7 |
| ოვიედო | 8 | 2 | 1 | 5 | 7-13 | 7 |
| სევილია | 8 | 1 | 3 | 4 | 7-13 | 6 |
| სალამანკა | 8 | 1 | 2 | 5 | 5-10 | 5 |
| სელტა | 8 | 1 | 2 | 5 | 5-14 | 5 |
| რაიო ვალეკანო | 8 | 1 | 1 | 6 | 8-20 | 4 |

## პორტუგალია

VII ტური. ტირენსე — გიმარაეში 2:2, სალგეირუში — ეშტრელია ამადორა 0:0, მარიტიმუ — ბელენენსეში 1:2, უნიაუ ლეირია — სპორტინგი 1:2, ბენფიკა — უილ ვისენტე 3:0, ფარენსე — შავეში 0:0, კამპომაიორენსე — ლეცა 1:1, ბრაგა — პორტუ 0:3, ფელგეირაში — ბოავიშტა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 7 | 6 | 1 | 0 | 16-4 | 19 |
| პორტუ | 7 | 6 | 1 | 0 | 12-2 | 19 |
| ბოავიშტა | 7 | 4 | 1 | 2 | 9-5 | 13 |
| ბენფიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 7-3 | 13 |
| ბელენენსეში | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| ბრაგა | 7 | 4 | 1 | 2 | 7-10 | 13 |
| გიმარაეში | 7 | 3 | 2 | 2 | 9-9 | 11 |
| მარიტიმუ | 7 | 3 | 1 | 3 | 14-8 | 10 |
| ფელგეირაში | 7 | 2 | 4 | 1 | 8-5 | 10 |
| ტირსენსე | 7 | 2 | 3 | 2 | 11-8 | 9 |
| სალგეირუში | 6 | 2 | 3 | 1 | 8-5 | 9 |
| ფარენსე | 7 | 2 | 2 | 3 | 7-6 | 8 |
| ეშტ ამადორა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-6 | 8 |
| შავეში | 7 | 1 | 3 | 3 | 10-11 | 6 |
| ლეცა | 7 | 1 | 2 | 4 | 5-11 | 5 |
| უილ ვისენტე | 7 | 1 | 1 | 5 | 5-13 | 4 |
| კამპომაიორენე | 7 | 1 | 1 | 5 | 6-18 | 4 |
| უნიაუ ლეირია | 7 | 1 | 0 | 6 | 5-22 | 3 |

## საფრანგეთი

XIII ტური. ოსერი — ნიცა 2:1, მეცი — ბორდო 2:0, მონაკო — გენიონი 0:0, რენი — ლილი 3:1, კანი — ნანტი 0:2, ლიონი — პსჟ 0:0, მონპელიე — ბასტია 4:3, სტრასბური — გენგამი 0:0, ლანსი — მარტიგი 1:0, ლე ავრი — სენტ ეტიენი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 13 | 9 | 4 | 0 | 16-6 | 31 |
| ლანსი | 13 | 8 | 4 | 1 | 19-9 | 28 |
| პსჟ | 13 | 7 | 4 | 2 | 22-11 | 25 |
| ოსერი | 13 | 8 | 1 | 4 | 25-14 | 25 |
| გენგამი | 13 | 5 | 6 | 2 | 10-6 | 21 |
| მონაკო | 13 | 6 | 3 | 4 | 19-17 | 21 |
| მონპელიე | 13 | 6 | 3 | 4 | 17-15 | 21 |
| ნანტი | 13 | 5 | 5 | 3 | 16-12 | 20 |
| სტრასბური | 13 | 4 | 5 | 4 | 17-13 | 17 |
| ბორდო | 13 | 5 | 2 | 6 | 16-17 | 17 |
| რენი | 13 | 5 | 2 | 6 | 16-19 | 17 |
| ნიცა | 13 | 4 | 4 | 5 | 13-14 | 16 |
| ლე ავრი | 13 | 4 | 3 | 6 | 8-19 | 15 |
| ლიონი | 13 | 3 | 5 | 5 | 13-16 | 14 |
| სენტ ეტიენი | 13 | 3 | 4 | 6 | 18-21 | 13 |
| გენიონი | 13 | 2 | 5 | 6 | 9-18 | 11 |
| მარტიგი | 13 | 3 | 1 | 9 | 8-18 | 10 |
| ლილი | 13 | 2 | 3 | 8 | 10-19 | 9 |
| კანი | 13 | 3 | 0 | 10 | 15-26 | 9 |

## შოტლანდია

VIII ტური. სელტიკი — ჰიბერნიანი 2:2, ფალკირკი — კილმარნოკი 0:2, პარტსი — რეით როვერსი 4:2, მოზერველი — აბერდინი 2:1, პარტიკ თისლი — რეინჯერსი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 8 | 7 | 0 | 1 | 16-2 | 21 |
| სელტიკი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-8 | 17 |
| ჰიბერნიანი | 8 | 3 | 4 | 1 | 12-10 | 13 |
| რეით როვერსი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-13 | 12 |
| მოზერველი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-8 | 10 |
| აბერდინი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-11 | 10 |
| პართსი | 8 | 2 | 2 | 4 | 13-17 | 8 |
| პარტიკ თისლი | 8 | 1 | 4 | 3 | 8-13 | 7 |
| კილმარნოკი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-13 | 7 |
| ფალკირკი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-12 | 5 |

## გერმანია

IX ტური. კიოლნი — ლევერკუზენი 2:2, ვერდერი — დორტმუნდი 2:2, ბაიერნი — გლადბახი 1:[illegible], აინტრახტი — ზანქტ პაული 2:2, კარლსრუე — ურდინგენი 2:0, ჰამბურგი — მიუნხენი 2:2, დიუსელდორფი — ფრაიბურგი 0:0, შალკე — [illegible] 1:1, ჰანზა — შტუტგარტი [illegible]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 9 | 7 | 0 | 2 | 21-11 | 21 |
| დორტმუნდი | 9 | 5 | 3 | 1 | 24-15 | 18 |
| გლადბახი | 9 | 5 | 1 | 3 | 16-16 | 16 |
| ჰანზა | 9 | 4 | 3 | 2 | 19-17 | 15 |
| ლევერკუზენი | 9 | 3 | 5 | 1 | 14-9 | 14 |
| ვერდერი | 9 | 3 | 5 | 1 | 13-12 | 14 |
| შალკე 04 | 9 | 3 | 5 | 1 | 9-10 | 14 |
| შტუტგარტი | 9 | 3 | 4 | 2 | 16-17 | 13 |
| ზ. პაული | 9 | 3 | 2 | 4 | 14-17 | 11 |
| კარლსრუე | 9 | 3 | 2 | 4 | 11-14 | 11 |
| აინტრახტი | 9 | 2 | 3 | 4 | 16-14 | 9 |
| დიუსელდორფი | 9 | 1 | 6 | 2 | 10-12 | 9 |
| მიუნხენი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-18 | 9 |
| კიოლნი | 9 | 1 | 5 | 3 | 9-11 | 8 |
| ურდინგენი | 9 | 1 | 5 | 3 | 6-8 | 8 |
| კაიზერსლაუტ. | 9 | 1 | 5 | 3 | 11-15 | 8 |
| ჰამბურგი | 9 | 0 | 7 | 2 | 14-15 | 7 |
| ფრაიბურგი | 9 | 1 | 2 | 6 | 5-12 | 5 |

## ავსტრია

XII ტური. გრაცერი — ფორვარტსი 1:1, აუსტრია — რაპიდი 4:1, კაზინო — შტურმი 1:1, რიედი — ლინცერი 1:0, ადმირა ვაკერი — ტიროლი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 12 | 8 | 2 | 2 | 23-12 | 26 |
| შტურმი | 12 | 6 | 2 | 4 | 23-14 | 20 |
| გრაცერი | 12 | 5 | 4 | 3 | 21-15 | 19 |
| ლინცერი | 12 | 5 | 4 | 3 | 12-10 | 19 |
| აუსტრია | 12 | 5 | 3 | 4 | 17-11 | 18 |
| რიედი | 12 | 5 | 3 | 4 | 19-20 | 18 |
| კაზინო | 12 | 4 | 4 | 4 | 15-17 | 16 |
| ტიროლი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-15 | 15 |
| ადმირა ვაკერი | 12 | 2 | 5 | 5 | 10-16 | 11 |
| ფორვარტსი | 12 | 0 | 2 | 10 | 5-28 | 2 |

## პოლონეთი

XII ტური. ლკს — პოგონი 3:1, რაკოვი — პუტნიკი 1:0, ამიცა — ზაგლებიე 2:0, სტომილი — ლეხი 0:0, ბუელხატოვი — სტალი 1:2, სიარკა — ლეგია 2:7, გკს — ვიძევი 1:4, შლიონსკი — გურნიკი 2:1, ოლიმპია — სოკოლი 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 11 | 10 | 1 | 0 | 30-6 | 31 |
| ლეგია | 12 | 10 | 1 | 1 | 33-11 | 31 |
| რაკოვი | 12 | 6 | 1 | 5 | 12-12 | 19 |
| სტალი | 12 | 6 | 1 | 5 | 15-19 | 19 |
| სტომილი | 11 | 5 | 3 | 3 | 11-9 | 18 |
| გკს | 11 | 4 | 4 | 3 | 12-11 | 16 |
| ამიცა | 12 | 5 | 1 | 6 | 13-14 | 16 |
| პოგონი | 12 | 5 | 1 | 6 | 13-16 | 16 |
| პუტნიკი | 12 | 5 | 1 | 6 | 19-24 | 16 |
| ლეხი | 11 | 4 | 3 | 4 | 17-13 | 15 |
| ზაგლებიე | 12 | 4 | 3 | 5 | 14-12 | 15 |
| ლკს | 12 | 4 | 3 | 5 | 14-12 | 15 |
| ოლიმპია | 10 | 4 | 2 | 4 | 13-13 | 14 |
| გურნიკი | 12 | 3 | 4 | 5 | 14-9 | 13 |
| შლიონსკი | 12 | 3 | 5 | 4 | 10-11 | 13 |
| სოკოლი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-24 | 9 |
| ბელხატოვი | 12 | 2 | 1 | 9 | 12-22 | 7 |
| სიარკა | 12 | 0 | 6 | 6 | 8-21 | 6 |

## თურქეთი

VIII ტური. ბურსასფორი — ანკარაგიუჯიუ 8:0, გალათასარაი — ისტანბულსფორი 4:2, დენიზლისფორი — ფენერბაჰჩე 0:0, ქოჩაელისფორი — ესკიშეპორსფორი 2:1, ალთაი — ტრაბზონსფორი 2:5, გენჩლერბირლიგი — ანტალიასფორი 2:3, კაიზერისფორი — სამსუნსფორი 2:1, ბეშიქთაში — კარშიაკა 4:0, გაზიანთეპსფორი — ვანსფორი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი | 8 | 6 | 2 | 0 | 21-6 | 20 |
| გალათასარაი | 8 | 6 | 1 | 1 | 14-9 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 5 | 3 | 0 | 14-4 | 18 |
| ბურსასფორი | 8 | 4 | 2 | 2 | 21-12 | 14 |
| ბეშიქთაში | 8 | 4 | 2 | 2 | 20-12 | 14 |
| ანტალიასფორი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-15 | 14 |
| ქოჩაელისფორი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-10 | 12 |
| დენიზლისფორი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-9 | 12 |
| გაზიანთეპსფ. | 8 | 2 | 4 | 2 | 7-4 | 10 |
| სამსუნსფორი | 8 | 3 | 1 | 4 | 13-12 | 10 |
| გენჩლერბირლ. | 8 | 2 | 4 | 2 | 11-11 | 10 |
| ესკიშეპირსფ. | 8 | 2 | 3 | 3 | 12-17 | 9 |
| კარშიაკა | 8 | 2 | 3 | 3 | 9-18 | 9 |
| ანკარაგიუჯიუ | 8 | 2 | 2 | 4 | 6-16 | 8 |
| ვანსფორი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-7 | 7 |
| კაიზერისფორი | 8 | 1 | 4 | 3 | 9-13 | 7 |
| ალთაი | 8 | 2 | 0 | 6 | 9-19 | 6 |
| ისტანბულსფ. | 8 | 0 | 1 | 7 | 10-22 | 1 |

## შვეიცარია

XIV ტური. ლუგანო — იანგ ბოიზი 2:0, ციურიხი — ლუცერნი 0:1, ბაზელი — ქსამაქსი 0:2, სიონი — სერვეტი 3:1, არაუ — გრასჰოპერი 1:1, ლოზანა — სენტ გალენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 13 | 9 | 2 | 2 | 26-12 | 29 |
| სიონი | 14 | 9 | 1 | 4 | 25-8 | 28 |
| ქსამაქსი | 14 | 9 | 1 | 4 | 25-19 | 28 |
| ლუცერნი | 14 | 7 | 4 | 3 | 22-7 | 25 |
| სენტ გალენი | 14 | 4 | 6 | 4 | 17-16 | 18 |
| ლოზანა | 14 | 4 | 5 | 5 | 16-15 | 17 |
| არაუ | 14 | 4 | 4 | 6 | 20-20 | 16 |
| ბაზელი | 14 | 5 | 1 | 8 | 14-18 | 16 |
| ლუგანო | 13 | 4 | 4 | 5 | 15-21 | 16 |
| სერვეტი | 14 | 3 | 4 | 7 | 18-9 | 13 |
| იანგ ბოიზი | 14 | 2 | 5 | 7 | 8-20 | 11 |
| ციურიხი | 14. | 1 | 5 | 8 | 8-24 | 8 |

# ხელმეორე დებიუტი მუშტი-კრივის თანხლებით

ჩვენებური სპორტის ქომაგის ცნობიერებაში რაგბი საქართველო — გერმანიის მატჩის „ეროვნულზე“ ოდენ გამართვითაც დაიჭერდა საკადრის ადგილს, ახლა კი ქართველი ბორჯღალოსნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კარგი გამარჯვებით მათ ერთი-ორად მეტი ჯეელი თუ ბებერი გულშემატკივარი მოაქციეს ოვალური ბურთაობის რჯულზე.

მოვლენის მნიშვნელობა მშვენივრად ესმოდა მთელს ქართულ სარაგბოთემს. ამიტომ იყო, რაგბის კავშირის საპრეზიდენტო გუნდი თვით ახალ ხელმძღვანელ ბიძინა გეგიძის მეთაურობით ეგზომ რომ გაისარჯა მატჩის წარმოსაჩინებლად: რეპორტაჟი ტელევიზიით გადაიცა, გამოიცა პროგრამა, სარაგბოდ გაეწყო სტადიონი, ნაკრები მოხდენილად შეიმოსა. მორაგბეებს მატჩზე სტუმრობით დიდი პატივი დასდეს ნინო სალუქვაძემ და ნიკო ლეკიშვილმა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე გაკეთდა, გამორჩეულ ღონისძიებას რომ შეეფერება.

ვერც სტუმარ გუნდსა და მსაჯს უნდა ჰქონოდათ საწუწუნო, რალაც ისე ვერ იყო შორეულ კავკასიაშიო. პირიქით, თუმც ჩვენებმა გერმანელებს თან მოუგეს და თანაც მიბეგვეს, ამათმა მწვრთნელმა პეტერ იანუშევიჩმა ქართველთა გამარჯვება დამსახურებულად სცნო და ნუგზარ ძაგნიძეც თურმე ერთობ თბილად მოიკითხა, ჯერ კიდევ იქიდან მახსოვხარ, რუსების ნაკრებში ჩემი მშობლიური რუმინეთის წინაალმდეგ რომ გითამაშიაო.

სტადიონზე და მის შემოგარენში ერთობ ამაღლებულ განწყობილებას დაესადგურებინა. შეკრებილიყო სრულიად საქართველოს სარაგბო სამყარო. იყო ერთი სალამ-ქალამი, მოკითხვა და ხორხოცი. მოვაჭრენიც მაგრად იხეირებდნენ, ისეთი ჟრიამული იდგა.

თამაშის დროს, პირიქით, აკადემიური სიჩუმე ჩამოწვა. ერთი, რომ ნიავი ქროდა, რის გამოც სანახაობა ვერ ვარგოდა. მეორეც, ჩვენი საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ დასარაზმი და ასაყოლიებელია და ვერც თავისიანების ქომაგობა ეხერხება. თუ ჩვენები რამეს გაახერხებდნენ, მაშინ თუ ატყდებოდა ტაშის კვრა, გაბმული სტვენა კი მაშინ იყო, გერმანელებს საჯარიმო კარში რომ უნდა დაერტყათ. ისე კი, დაძაბულობა ამ სიჩუმეშიც ძალიან იგრძნობოდა. და კიდევ, წვრილფეხობა რომ ერთობ განსასწავლია, კარში დარტყმების მერეც ჩანდა: გოლი არ იყო და ჩვენები ისეთ ყიჟინას დასცემდნენ, რომ სტუმრები უთუოდ იფიქრებდნენ, ეს რა ქაჯეთში მოვხვედრილვართო. არადა, კაი დედ-მამისშვილი ბავშვებისათვის იმის ახსნას რა უნდოდა, თუ ბურთი კარში გავა, თანამსაჯები ალმებს შემართავენო.

პოლიციამაც არასწორი ქმედებით გამოიჩინა თავი: გაგანია თამაშში ხალვათად მოიქცია ალყაში ლოჟა, რომელშიც რაკი ძირძველი მორაგბეები და მათი ოჯახები შეკრებილიყვნენ, კრიმინოგენული არაფერი ჩანდა. სამაგიეროდ, დაუცველი დარჩა ფლანგები, ხოლო თამაშის მიწურულს მოედანზე ლიანგური მუშტი-კრივი რომ გაიმართა, მოსეირე ბიჭ-ბუჭობა გაუსხლტა წესრიგის დამცველებს და ჩხუბში ისეთ გულზე ჩაება, თითქოს მორაგბეთაგან ვისმე ცემის თავი ჰქონოდა. პრევენტიული კონტრ-ღონისძიება პოლიციამ მატჩის შემდეგ განახორციელა — სათოფეზე არავინ გააკარა გასახდელის სადარბაზო შესასვლელს, სადაც თაყვანისმცემლებსა და ჟურნალისტებს მრავლად მოეყარათ თავი. წესრიგის სადარაჯოზე მყოფნი და მისი დარღვევის მსურველები სიტყვიერადაც შებმიან ერთმანეთს.

ეხლა, რაც შეეხება თამაშს. ჩვენები მისთვის ათი დღე ემზადნენ ლიკანში. საჭმელი არა ჰკლებიათ და კარგადაც უვარჯიშიათ, მაგრამ მატჩმა გვიჩვენა, რომ სასურველ კონდიციებამდე მაინც ბევრი უკლიათ. უეჭველია, მოუგვარებელი საყოფაცხოვრებო პირობები და აწეწილ-დაწეწილი საშინაო ასპარეზი ქართველ მორაგბეთა ოსტატობას ვნებს, თუმც რაგბის კავშირის მიერ ბოლო ხანების თაოსნობებით ვითარება სწორდება. ეს, უწინარეს ყოვლისა, ქუთაისის „აიას“ გამო ითქმის. ქუთათურები ყოველთვის ჩვენი რაგბის ოქროს ბიჭები ყოფილან და თუ ახლო წარსულში თბილისსა და ქუთაისს შორის რაიმე გაუგებრობა მომხდარა, ამას, საბედნიეროდ, კვალი არ დაუმჩნევია ეროვნული ნაკრების ლიხსიქითელი წევრებისათვის — როგორც გუნდის მწვრთნელებმა გურამ მოდებაძემ, დავით კილასონიამ და თამაზ ხუადემ გაგვანდეს, აიელთა ჭეშმარიტი ფასი მათზე უკეთ არავინ უწყის.

გერმანიასთან თამაში მწვრთნელთა ახალი სამეულისათვის პირველი დიდი გამოცდა იყო. მათ იგი „ფრიადზე“ თუ არა, „კარგზე“ მაინც ჩააბარეს — გუნდმა მოიგო თამაში, რომელშიც თუ სტატისტიკას დაეჯერება, ვერ უნდა გაემარჯვნა.

ამის მიზეზი მრავალი იყო. ერთი, რომ გუნდის შეთამაშება ვერ მოესწრო. მეორეც, ჩვენი ბიჭები ერთობ ღელავდნენ, ვინაიდან ეს მატჩი ფაქტობრივად ჩვენი ნაკრების ხელახალი წარდგენა იყო ქართველი გულშემატკივრის წინაშე — 1989 წელს ზიმბაბვეს ძლევის შემდეგ ჩვენები ხომ პირველად თამაშობდნენ შინ, დიდ სტადიონზე, რიცხვმრავალი აუდიტორიის წინაშე, თანაც გერმანელთა დარად — უცხო გარემოში, რაკილა „ეროვნულზე“ ნაკრების ვარჯიშის გამართვა ვერ მოხერხდა.

გერმანიაც იმაზე ბევრად ძლიერი გამოდგა, ვიდრე გვეგონა. ფიშერი და ჰაზენბაინი სიმაღლის წყალობით დერეფანს რომ მოგვიგებდნენ, წინასწარ ვიცოდით, მაგრამ სტუმრები მოლსა და რაქში ბურთს ეგრე მარჯვედ თუ მოიპოვებდნენ, ვერ ვიფიქრებდით.

გვიშველა იმან, რომ გერმანელებს მოტუტუცო შუამარბები ჰყავდათ, მათ კი ბურთს ხშირად აძლევდნენ გასათამაშებლად. სტუმრებს ფეხით ტაქტიკური დარტყმებიც ვერ გამოუვიდათ, კარში დამრტყმელებს კი ნერვებმა უმტყუნეს, რადგან სად ათი ათასი კაცის სტვენა და სად ორასისა — ამაზე მეტი მაყურებელი მათს ქვეყანაში რაგბზე არ დაიარება.

გაგვამარჯვებინა ჩვენების თავდადებამაც. სამივე მცველი (15, 14, 11) და ორივე შუამარბი (13, 12) ლომებივით ბოჭავდნენ მეტოქეს. ბურთიც იშვიათად უვარდებოდათ. სამაგიეროდ, მორკინალებმა ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს თავი. ვინ იცის, რის გამო გვეგონა, ჩვენები მეტოქეს დაანგრევენო, მაგრამ ნურას უკაცრავად — გერმანია არ გამოდგა ჯაბანი.

ქართველთა ტაქტიკა ზე-პრაგმატული იყო, რის გამოც თამაში საამოდ საცქერი ვერ გამოვიდა. ბურთი ერთობ იშვიათად გვქონდა შესატევად და თამაშის დებიუტში გაფლანგულ საჯარიმოებს თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ, ჭირნახული სრულად მოვიმკეთ, გერმანიამ კი საგოლე და სალელოე შანსებიც მეტი დაანიავა.

თამაში გააფუჭა ზორზოხმა ფრანგმა მსაჯმა, რომელიც საქართველოში სასემინაროდაც იყო მოვლინებული. მან ისეთი სისულელეები უთხრა ჩვენს მწვრთნელებსა და მსაჯებს, რომ სულ მთლად აურია გზა-კვალი, მატჩის გაძღოლისას კი სტვენით ტვინი წაიღო. უპირატესობის წესს ხომ სულ არა სცნობდა, რითაც ჩვენებსაც ჩაუშალა კარგი იერიშები და გერმანელებსაც. სტატისტიკა იშვიათად ტყუის და ნეტავ ვინ გაიხსენებს მატჩს, სადაც გამარჯვებულ გუნდს მოლსა და რაქში ოდენ სამჯერ (!) მოეგოს ბურთი იერიშის მეორე ფაზის განსახორციელებლად.

თამაში ჩვენთვის კარგად დაიწყო. ორი საჯარიმო კი გაგვიცუდდა, მაგრამ მერე აბრაგანმა გაგვიმართლა. გერმანიამ ანგარაში რომ გაგვითანაბრა, უმალ ჩვენმა უკოლორიტულესმა მოთამაშემ — მოსკოვის „ფილის“ ლიდერმა „ბეირუთ“ იურინმა გერმანელებს აართვა ბურთი, ლელოსკენ ორჯერ გაიგდო წინ და ხაზს მილმა დაეწია. მერე გერმანიამ ორჯერ შიში გვაჭამა, მაგრამ კოხერს დარტყმები გაუცუდდა, ზედ შესვენების წინ კი ჩვენების უკანა ხაზს, როგორც იყო, მიეცა ბურთის ბოლომდე ჩათამაშების შანსი.

მეორე ნახევრის პირველმავე ორფაზიანმა ძალისმიერმა შეტევამ კიდევ ერთი გასატანი საჯარიმო გვარგუნა. მერე ძალიან გაგვიჭირდა. ტაიმის მე-12 წუთის მიდამოებში ლელოს გაჭირვებით განვარიდეთ ბურთი. მერე გერმანელებიც აირივნენ, 23-ე წუთზე კი ქართველებმა კიდეზეც რომ ვერ გადააგდეს ბურთი, ჩვენს თავზე ავისმომასწავებელი ღრუბელი ჩამოწვა.

ახალი ძალების შემატებამ ჩვენებს სულზე მიუსწრო. კახა კობახიძემ ორჯერ ეშხიანად წაიბურთავა, მერე კი უმცროსმა ძაგნიძემ ძნელადგასატანი საჯარიმოც შეაგდო. გერმანიას იმედი რომ გადაეწურა, მუშტი-კრივი გამართა. ჩხუბმა და აყალმაყალმა ოთხ წუთს გასტანა. გარეშეთა ჩარევის გამო გამარჯვებული არ გამოვლენილა, თუმც მაყურებლები ერთობ გამოცოცხლდნენ — იმ დღეს ეროვნულზე შეკრებილებს მსგავსი გონჯი სცენები ტელევიზიით თუ უხილავთ, სამხრეთი ამერიკის ფეხბურთის მატჩების „პაილაითებში“.

ზაზა ფხაკაძე

გია ახალაძის
ფოტოები



„ბეირუთამ“ ბურთი ფეხბურთელივით წინ გაიგდო და ლელოში დაეწია



ნუგზარ ძაგნიძის პირველი გოლი

ფირა-ს 1995-96 წლების პირველობა
„ბ1“ ჯგუფი
კვირა, 15. X. 1995
თბილისის ეროვნული სტადიონი
მსაჯი მიშელ კაზმიერჩაკი (საფრანგეთი)
(42 + 43)

**საქართველო — გერმანია**
(ლ, 3ს) (ბ) 14 — 3 (ს)

| საქართველო | | გერმანია |
|---|---|---|
| ე. ძაგნიძე (აია) | 15 | ვებერი |
| მაჩიტიძე (გუმარი) | 14 | მედერი |
| ჩიქვინიძე (გუმარი) | 13 | კ. პიმერი |
| ძონწენიძე (აია) | 12 | ფ. პიმერი |
| ნ. იურინი (ფილი) | 11 | შნაიდერი |
| ნ. ძაგნიძე (აია) | 10 | კუმი |
| ჯანელიძე (გუმარი) | 9 | კოხერი |
| ფირცხალავა (აია) | 1 | ფილიპ უებერლე |
| ტურძელაძე (აია) | 2 | დიდრიხსი |
| ცაბაძე (გუმარი) | 3 | შვებლი |
| ხუადე (გუმარი) | 4 | ჰაზენბაინი |
| ალ. ლიბრაძე (თბილისი) | 5 | ფიშერი |
| (კაპ) ობოლაძე (გუმარი) | 6 | ლეხტი 81 ' –> |
| <– 81 ' ზ. ლეჟავა (გუმ) | 7 | რ. ჰოფმანი (კაპ) |
| ზვ. ლიპარტელიანი (აია) | 8 | შმიდებერგი |
| (10)69 'ქავთარაშვილი (თბ) | 16 | ბაიერი |
| ალანია (თბილისი) | 17 | პაკერი (12) 53 ' |
| (9) 43 ' იოვაძე (თბ) | 18 | ფრიც უებერლე |
| (5) 62 ' კობახიძე (გუმ) | 19 | რეხევერთი |
| მჭედლიშვილი (გუმ) | 20 | ფიურერი |
| მთიულიშვილი (გუმ) | 21 | რათმანი |
| (1) 75 ' ბერიაშვილი (გ) | 22 | ფ. ჰოფმანი (1) 54 ' |
| ნარიმანაშვილი | თმსჯ. | რ. ჰოფმანი |

ანგარიში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 15 ' | (ს) | ნ. ძაგნიძე | 3:0 | | | |
| | | | 3:3 | კოხერი | (ს) | 23 ' |
| 25 ' | (ლ) | იურინი | 8:3 | | | |
| 48 ' | (ს) | ნ. ძაგნიძე | 11:3 | | | |
| 74 ' | (ს) | ე. ძაგნიძე | 14:3 | | | |

ბურთის მოპოვება
სულ ( I ნახევარში + II ნახევარში)

| საქართველო | | გერმანია |
|---|---|---|
| 10 (7 + 3) | დერეფანი | 16 (7 + 9) |
| 9 (4 + 5) | შერკინება | 11 (7 + 4) |
| 3 (1 + 2) | მოლი, რაქი | 9 (8 + 1) |
| 11 (6 + 5) | საჯარიმო | 10 (4 + 6) |
| 33 (18 + 15) | სულ | 46 (26 + 20) |

## დამრტყმელთა შეჯიბრი




• გარდასახვა • საჯარიმო ○ არეკნი ◯ გატანილი

3, 9, 15, 20, 25, 37, 48 ' ნ. ძაგნიძე
68, 85 ' მაჩიტიძე; 72 ' იურინი; 74 ' ე. ძაგნიძე

17, 60, 82, 83 ' კუმი
23, 29, 33, 67 ' კოხერი

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ფრჩხილებში მითითებულია კოეფიციენტები შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის

### უეფას თასი. 17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლუგანო (შვეიცარია) — სლავია (ჩეხეთი) | (1,8-1,6) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ოსერი (საფრანგეთი) — ნოტინგემი (ინგლისი) | (2,3-1,4) | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ბარსელონა (ესპანეთი) — გიმარაეში (პორტუგალია) | (1,1-5,0) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| რომა (იტალია) — აალსტი (ბელგია) | (1,1-5,0) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ჩერნომორეცი (უკრაინა) — ლანსი (საფრანგეთი) | (5,0-1,1) | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ბრონდბიუ (დანია) — ლივერპული (ინგლისი) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ვერდერი (გერმანია) — დინამო (ბელარუსი) | (1,05-7,5) | 1,05 | 3,5 | 9,0 |
| სტრასბური (საფრანგეთი) — მილანი (იტალია) | (4,0-1,15) | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ბენფიკა (პორტუგალია) — როდა (ჰოლანდია) | (1,1-5,0) | 1,1 | 3,3 | 7,0 |
| სპარტა (ჩეხეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა) | (1,05-7,5) | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| ბორდო (საფრანგეთი) — როტორი (რუსეთი) | (1,15-4,0) | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ბეტისი (ესპანეთი) | (1,8-1,6) | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ლიდსი (ინგლისი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | (1,5-2,0) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| სევილია (ესპანეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | (1,6-1,8) | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლიონი (საფრანგეთი) — ლაციო (იტალია) | (4,0-1,15) | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| რეით როვერსი (შოტლანდია) — ბაიერნი (გერმანია) | (7,5-1,05) | 4,0 | 2,7 | 1,5 |

### ჩემპიონთა თასი. 18 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი (საფრანგეთი) — ოლბორგი (დანია) | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| პორტუ (პორტუგალია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ლეგია (პოლონეთი) — ბლექბერნი (ინგლისი) | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) — სპარტაკი (რუსეთი) | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| დორტმუნდი (გერმანია) — სტიაუა (რუმინეთი) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| იუვენტუსი (იტალია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| აიაქსი (ჰოლანდია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| რეალი (ესპანეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | 1,1 | 3,2 | 8,0 |

### თასების თასი. 19 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპორტინგი (პორტუგალია) — რაპიდი (ავსტრია) | (1,3-2,8) | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| დინამო (რუსეთი) — ჰრადეც-კრალოვე (სლოვაკეთი) | (1,45-2,1) | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ჰალმშტადი (შვედეთი) — პარმა (იტალია) | (7,5-1,05) | 3,6 | 2,7 | 1,55 |
| პსჟ (საფრანგეთი) — სელტიკი (შოტლანდია) | (1,3-2,8) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სარაგოსა (ესპანეთი) — ბრიუგე (ბელგია) | (1,4-2,3) | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| მიონხენგლადბახი (გერმანია) — აეკ (საბერძნეთი) | (1,3-2,8) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ევერტონი (ინგლისი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | (1,8-1,6) | 1,4 | 2,9 | 4,2 |
| ტრაბზონსპორი (თურქეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,0 | 2,5 | 2,5 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე „სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | | | | 0-1 | | | | 3-2 | | | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | | | 1-0 | | | | 3-1 | | | | | | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | | | ■ | | 2-1 | | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | | | |
| 5 | SD COMPOSTELA | | | | | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | [illegible] |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | | | 4-2 | | | | | 3-1 | | | | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | | | | | | ■ | | | | | 2-3 | | | | 2-0 | | | 3-0 | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | | | | 2-0 | 1-0 | ■ | | | | | | 4-1 | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | | | | | | | | | ■ | 1-5 | | | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | | | ■ | 2-3 | | | | | | | | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | | | | 0-1 | | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | | | ■ | | | | | 1-1 | | | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | | | | 1-0 | | ■ | | | | | 0-2 | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | | | | 2-0 | 2-1 | | | | | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | | | | | | 0-0 | | | 3-1 | | ■ | | | | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | | | | | | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | | | | 1-1 | 0-0 | 2-2 | | | | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | | | | | | | 4-3 | | | 0-0 | | 1-1 | | | 1-0 | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | | | | | | | 3-0 | | | | 3-0 | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | | 0-3 | | | | | | 1-1 | | | | 2-2 | | | ■ | |
| 22 | MERIDA | 1-1 | | | | | | | | | | | | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | | | |
| 2 | AS BARI | | ■ | | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | | | | ■ | | 0-0 | | | | | | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | | ■ | | | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | | ■ | | | | 0-0 | | | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | | | 2-1 | | | ■ | | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | | | | | 2-2 | | ■ | | | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | | ■ | 1-1 | |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | | | | 2-1 | | | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | | | | | | | | | | | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | 0-1 | | | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | 2-1 | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | | | 2-1 | ■ | | | 1-1 | | | | | 1-1 | 1-3 | | 0-1 | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | | | | | | | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | | | | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | | | | | ■ | | | | 2-3 | | 1-3 | | | | 2-0 | | | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | | | | | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | 2-0 | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | 0-0 | | | ■ | | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | | | | 0-2 | | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | 2-2 | 1-0 | ■ | | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | | | | | ■ | | | | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | | | | ■ | | | | | 1-1 | |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | 2-3 | | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | | 1-3 | | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | | | | | 1-0 | 3-4 | | | ■ | | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | | 0-1 | | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | | | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | 0-0 | 2-2 | | | 1-1 | | | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | 2-2 | | | | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | | ■ | | | | | | 1-1 | | | | 2-1 | 3-1 | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | | | | | 4-2 | | 1-3 | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | | | | | | | 1-2 | 2-3 | | | | 3-3 | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | 2-2 | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | | | | | | | | | 1-2 | | |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | 2-2 | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | | | | | | | | ■ | | 1-1 | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | 0-2 | | | | | ■ | 1-0 | | | 2-6 | | | | 2-0 |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | 2-2 | | | | 0-1 | | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | | | | | ■ | | | | | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | | | 2-4 | | 4-1 | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | 1-2 | ■ | | | | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 2-1 | | | | | | | | | | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | | | 1-3 | | | | 1-1 | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | | | | | | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | | 1-1 | | 1-1 | | | | | | | | 0-1 | | ■ |

# ნადირობა უპატრონოებზე

| რონკეტის თასი. II წრე. საპასუხო მატჩი<br>გოთაშსფორი (ადანა) — მეობა (ქუთაისი) 115:88 (51:40)<br>ადანა. „სფორ სალონუ“. 4 ოქტომბერი. 3500 მაყურებელი<br>მსაჯები: ნ.ნედელჩევი (ბულგარეთი), ა.გრევა (ალბანეთი) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გოთაშსფორი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 9 ბუიურანი | 29 | 7 | 2 | 1 | — | 13 | 9 | 4 |
| 10 ვიკერსი | 28 | 16 | — | 1 | 1 | 11 | 8 | 4 |
| 11 ქუმქოლმაზი | 14 | 2 | — | 1 | — | — | — | 4 |
| 12 ქარაბიიქი | 23 | 5 | 3 | 3 | — | 9 | 8 | 3 |
| 13 ალთაი | 13 | — | — | 2 | — | 6 | 2 | 4 |
| 7 თურქმენი | 4 | 1 | 1 | 2 | — | — | — | 5 |
| 15 თურქანი | 4 | 2 | 1 | 2 | — | 2 | — | 4 |
| სულ | 115 | 33 | 7 | 12 | 1 | 41 | 27 | 28 |
| მეობა | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 6 ომიაძე | 20 | 2 | 3 | — | — | 8 | 4 | 4 |
| 5 კუპატაძე | 21 | 7 | — | 3 | — | 4 | 4 | 3 |
| 9 ბუილიშვილი | 9 | 9 | 4 | 2 | — | 8 | 5 | 5 |
| 13 კუპრაშვილი | 12 | 6 | — | 2 | 3 | 2 | 2 | 5 |
| 14 ჩეკურიშვილი | 17 | 9 | — | — | — | 14 | 8 | 4 |
| 11 ფურცელაძე | 4 | 5 | — | — | — | — | — | 3 |
| 10 კაკაურიძე | 5 | 5 | — | — | — | 4 | 3 | 2 |
| სულ | 88 | 43 | 7 | 7 | 3 | 40 | 26 | 26 |

ბოლო დღეებში მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ, ალბათ, ნაკლებსასიამოვნოა ჩვენი გუნდის დამარცხების გახსენება, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუხვალ. „ბოთაშსფორ“ — „მეობას“ მატჩი კი თუნდაც სამაგალითოდ უნდა გამოადგეთ სხვა ქართულ გუნდებსაც, რადგან საერთაშორისო სტრუქტურებში სანამ ასე უპატრონონი და უუფლებონი ვიქნებით, მსგავს რამეებს იქამდე დაგვმართებენ.

ცხადია, მიხვდით, საუბარი მსაჯობაზე იქნება. მაგრამ სანამ თამაშს გავარჩევდეთ, მანამდე სხვა ამბებსაც მოგახსენებთ. „მეობა“ 12-ქულიანი მარაგით 1 ოქტომბერს გაემგზავრა ქუთაისიდან და საბოლოო პუნქტს — ადანას მხოლოდ 3 ოქტომბრის ღამეს ჩააღწია. ავტობუსით 50-საათიანი მგზავრობისას ჩვენს ოთხ მოთამაშეს სიცხემ აუწია, რაც დაღლილობას დაერთო.

ქალაქი ადანა ხმელთაშუა ზღვის სიახლოვესაა, ხოლო „ბოთაშსფორის“, ასე ვთქვათ, ბაზა, სადაც თურქებმა დაგვაბინავეს, უკვე ზღვისპირა ჯეიპანშია, რომელიც ადანადან 70 კილომეტრში მდებარეობს. თურქთა გუნდის პატრონია ფირმა „ბოთაში“, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანი აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმში თურქეთის მხარეს წარმოადგენს. ამ ფირმას დიდი ტერიტორია აქვს აღებული ჯეიპანთან და თავის საქმიანობაც იქ გაუშლია. ამ ტერიტორიას საგანგებოდ იცავდნენ სამხედროები, შიგნით საშვის გარეშე ჩიტიც კი ვერ შეფრინდებოდა, თანამშრომლები და მომსახურე პერსონალი იქვე ცხოვრობდნენ და გარეთ გასვლა, შეიძლება ითქვას, არც კი სჭირდებათ — მენავთობეთ ლამის მთელი ქალაქი აქვთ იქ გაშენებული. „ბოთაშსფორის“ კალათბურთელებიც თითქმის მუდმივად აქ ცხოვრობენ და ვარჯიშობენ. ჩვენც ამ ტერიტორიაზე, ფირმის კუთვნილ სასტუმროში დაგვაბინავეს.

აქედან ადანამდე, უფრო სწორად კი, დარბაზამდე 75 კილომეტრი გახლდათ. ავტობუსი იქამდე მისვლას საათნახევარს უნდებოდა. ამიტომაც, ჩვენმა კალათბურთელებმა თამაშის დღის, 4 ოქტომბრის ძირითადი ნაწილი გზაში გაატარეს: სამი საათი დილის ვარჯიშზე წავსლა-წამოსვლისას, კიდევ საათნახევარი — თამაშზე გამგზავრებისას. არ დაგავიწყდეთ, რამხელა გზა გამოიარეს მეობელებმა მანამდე და თან ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეს ქალთა გუნდია.

თბილისის მატჩის რეცენზიაში აღვნიშნე, რომ თურქეთში ორივე მსაჯი მასპინძლებს აშკარად მიემხრობა და ადგილობრივი კომისარი ამაზე თვალს დახუჭავს-მეთქი. ისე ყველაფერი აგიხდეთ. მსაჯობა რომ ცუდი იქნებოდა, ამაზე არბიტრთა წარმომავლობაც მეტყველებდა: თურქი და ალბანელი რამ გაყო; ხოლო, ჩვენს სამხრეთელ მეზობელს მართლმადიდებლური ბულგარეთი იქნებ სულაც არ ეხატება გულზე, მაგრამ სპორტში საერთო ენა დიდი ხანია გამოძებნილი აქვთ და ერთმანეთისთვის დიდ „კოჭის გორებაში“ არიან.

თავად თამაში ჩვენი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ „ბოთაშის“ ამერიკელმა ვიკერსმა სადავეები ხელში აიღო და შედეგიანად შეუტია. ერთხანს მასპინძლები 8 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ კუპატაძემ და ბუილიშვილმა იმდენი ქნეს, სხვაობა ორამდე შეამცირეს. ამასობაში მსაჯებმა, განსაკუთრებით კი ბულგარელმა ნედელჩევმა მთლად გარეკა: ჩვენებს სამი გარბენიდა არარსებული პერსონალურები დაუფიქსირა. შემდეგ სწორად შენიშნა ქართველებისგან სამი წამის წესის დარღვევა, მაგრამ მომდევნო შეტევაში თურქების იგივე შეცდომას წაუყრუა. მან სამჯერ (სულ მატჩში კი ექვსჯერ) ნამდვილად აჩუქა მასპინძლებს ჩაგდებულ ბურთზე კიდევ ერთი საჯარიმოს სროლის უფლება, ხოლო ვიკერსს აბსოლუტური თავისუფლება მიენიჭა, მისთვის ყველაფერი შეიძლებოდა და როცა ომიაძე ფარქვეშ კინაღამ მოკლა, მაშინ კი აღირსეს ერთი საცოდავი პერსონალური. ამ დროს „ბოთაში“ 30:22 იგებდა.

ჩვენებს ისედაც არ მისდიოდათ თამაში და მოედანზე დატრიალებულმა ამბებმა ხომ მთლად ბოლო მოუღო. თურქებმა ეს მომენტი რომ დაიჭირეს, მთლად გაილაღეს — უკანა ხაზი მძლავრად ათამაშდა და რამდენიმე ზუსტი სამქულიანიც შესრულდა. ქართველებს კი მთლად გადასარევი მოუვიდათ — ტაიმის ბოლოს ფურცელაძემ ბურთი ჩააგდო, მაგრამ ტაბლოზე არაფერი შეცვლილა. ქულების ამგვარ უნამუსო მოპარვას საკავშირო ზონალურ პირველობაზეც კი არ კადრულობდნენ. მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა უმალ სამდივნოს მიმართა. თურქმა კომისარმა დოგან ერსავაშმა მას ოქმი აჩვენა და უთხრა, აქ არ წერია ის ორი ქულა და რას გვერჩითო. თუმცა, ჩივილს რა აზრი ჰქონდა — თუ ტაბლოდან მოგვპარეს ქულა, ოქმში საერთოდ არ შეიტანდნენ და წადი მერე, ეძებე სამართალი.

პირველ ტაიმში კუპრაშვილსა და ბუილიშვილს ოთხ-ოთხი პერსონალური ჰქონდათ. მეობელები მიხვდნენ, რომ მოგებას მათ ადანადან არავინ გაატანდა და მეორე ტაიმი უგულოდ დაიწყეს. ამიტომაც იყო, ჩვენებმა პირველი ბურთი მხოლოდ 4.20 წუთის შემდეგ რომ ჩააგდეს, „ბოთაშმა“ კი დრო იხელთა და ეს მონაკვეთი 10:0 მოიგო. ქუთაისელთა მცდელობას ალარავითარი აზრი არ ჰქონდა, თანაც ნაცრისფერში გამოწყობილი ორი, ბოდიში და, ნაძირალა თითქოს ერთმანეთს გამომგონებლობაში ეჯიბრებოდა — რომელი უფრო აბსურდულ გადაწყვეტილებას მიიღებდა. როცა სხვაობამ 30 ქულას მიაღწია, არბიტრებმა მაშინღა დაიწყეს ვიკერსის დარღვევების შემჩნევა და სამ წუთში მისი ფოლთა მარაგი ოთხამდე გაიზარდა. ამასობაში „მეობამ“ ბოლო ძალა მოიკრიბა და მეტოქეს ზონური პრესინგი დაუყენა. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა — წუთნახევარში სხვაობა 20 ქულამდე შემცირდა. ეს ხდება დამთავრებამდე 6 წუთით ადრე. უმალვე ბუილიშვილი მეხუთე ჯარიმას იღებს და მოედანს სტოვებს. მორიგი 20-ქულიანი სხვაობა ერთი წუთის შემდეგ აღინიშნა — ამჯერად კუპრაშვილს აგდებენ. ბოლო წუთებზეც 20 ქულას ვაგებთ და ჩვენები ჯარიმების აკიდებაზე გადადიან. მსაჯებმა კი მთლად დაიბრმავეს თავი და დარღვევებს ვერ ამჩნევდნენ, რითაც თურქებს ბურთს ათამაშებინებდნენ და დროსაც აყვანინებდნენ. ბედად, თამაში მალე დასრულდა და მოედანზე გამეფებულ კოშმარს ბოლო მოეღო.

მატჩის შემდეგ გავესაუბრე ნაცნობ თურქ კოლეგებსა და კალათბურთის ხელმძღვანელებს. მათ თავიდან შორს დაიჭირეს მსაჯების მიმხრობა, თბილისში უარესი მსაჯობა იყოო — მიმტკიცებდნენ, შემდეგ კი ყველაფერს თავის სახელი დაარქვეს და დაახლოებით ასეთი რამ თქვეს — ვისთანაც გაგვდის, იმასთან ჩავაწყობთო. თურქებს, ბერძნებს, იუგოსლავიელებს და ბევრს ეს საქმე ხელოვნების დონემდე ჰყავთ აყვანილი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, თამაშს ნებისმიერი ჩაგვიწყობს, რადგან ფიბაში არანაირი ძალა და გავლენა არა გვაქვს. თუ რატომ, ამის გარჩევა დიდ დროს წაიღებს. ამიტომ ერთს დავძენთ — იქნებ სათანადო სტრუქტურები ამაზე დაფიქრდნენ და თუკი ფიბას წევრები გვქვია, მართლა წევრებად ვიგრძნოთ თავი და არა მდგმურებად ან გერებად.

სხვათა შორის, ერთ ნიშანდობლივ ფაქტსაც მოგახსენებთ: „ბოთაშმა“ ორი დღის შემდეგ ამხანაგური მატჩის ჩატარება შესთავაზა „მეობას“. თურქებს თავიანთი რეალური ძალების შემოწმება სურდათ. ნორმალური მსაჯობისას შეხვედრა ფრედ — 66:66 დასრულდა. დანარჩენ დასკვნებს კი თქვენ ჩემზე უკეთ გააკეთებთ.

მერაბ რატიშვილი
ადანა-თბილისი

კორესპონდენტის თურქეთში მივლინებისთვის „სარბიელი“ მადლობას უხდის ქუთაისის აეროპორტსა და მის დირექტორს ბატონ რამაზ ჩაჩხიანს.

## ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

II ტური. 11 ოქტომბერი

### I ჯგუფი

საქართველო — ბოსნია 77:66
ისრაელი — სლოვაკეთი 86:69
საბერძნეთი — ბელარუსი 77:82

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 159-144 | 3 |
| ბოსნია | 2 | 1 | 1 | 146-136 | 3 |
| საქართველო | 2 | 1 | 1 | 150-148 | 3 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 152-155 | 3 |
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 1 | 151-159 | 3 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 1 | 141-157 | 3 |

წლევანდელი თამაშები: 12 ნოემბერი: ბოსნია — საბერძნეთი, საქართველო — ისრაელი, ბელარუსი — სლოვაკეთი. 15 ნოემბერი: ისრაელი — ბოსნია, სლოვაკეთი — საბერძნეთი, ბელარუსი — საქართველო

### II ჯგუფი

ინგლისი — ესტონეთი 89:91
გერმანია — ლატვია 100:82
რუსეთი — პორტუგალია 90:70

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 188-145 | 4 |
| ესტონეთი | 2 | 2 | 0 | 196-174 | 4 |
| ლატვია | 2 | 1 | 1 | 176-167 | 3 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 175-180 | 3 |
| ინგლისი | 2 | 0 | 2 | 156-185 | 2 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 2 | 155-195 | 2 |

წლევანდელი თამაშები: 12 ნოემბერი: ესტონეთი — რუსეთი, ინგლისი — გერმანია, პორტუგალია — ლატვია. 15 ნოემბერი: გერმანია — ესტონეთი, ლატვია — რუსეთი, პორტუგალია — ინგლისი

### III ჯგუფი

მაკედონია — ფინეთი 94:102
სლოვენია — ჩეხეთი 81:82
იტალია — უნგრეთი 94:68

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 170-131 | 4 |
| ფინეთი | 2 | 2 | 0 | 196-169 | 4 |
| ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 167-153 | 4 |
| სლოვენია | 2 | 0 | 2 | 144-158 | 2 |
| მაკედონია | 2 | 0 | 2 | 166-187 | 2 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 2 | 143-188 | 2 |

წლევანდელი თამაშები: 12 ნოემბერი: ფინეთი — იტალია, მაკედონია — სლოვენია, უნგრეთი — ჩეხეთი. 15 ნოემბერი: სლოვენია — ფინეთი, ჩეხეთი — იტალია, უნგრეთი — მაკედონია

### IV ჯგუფი

რუმინეთი — ბულგარეთი 69:84
თურქეთი — უკრაინა 96:89
ხორვატია — პოლანდია 73:53

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 142-106 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 2 | 0 | 169-151 | 4 |
| უკრაინა | 2 | 1 | 1 | 182-156 | 3 |
| თურქეთი | 2 | 1 | 1 | 149-158 | 3 |
| პოლანდია | 2 | 0 | 2 | 135-158 | 2 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 129-177 | 2 |

წლევანდელი თამაშები: 12 ნოემბერი: ბულგარეთი — ხორვატია, რუმინეთი — თურქეთი, პოლანდია — უკრაინა. 15 ნოემბერი: თურქეთი — ბულგარეთი, უკრაინა — ხორვატია, პოლანდია — რუმინეთი

### V ჯგუფი

შვეიცარია — შვედეთი 63:57
ლიტვა — პოლონეთი 108:96
საფრანგეთი — ბელგია 74:73

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 161-147 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 173-136 | 3 |
| ლიტვა | 2 | 1 | 1 | 182-183 | 3 |
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 121-125 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 125-157 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 158-172 | 2 |

წლევანდელი თამაშები: 12 ნოემბერი: შვედეთი — ლიტვა, შვეიცარია — საფრანგეთი, პოლონეთი — ბელგია. 15 ნოემბერი: საფრანგეთი — შვედეთი, ბელგია — ლიტვა, პოლონეთი — შვეიცარია

ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით“ შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი: 36-00-94, 36-65-00, 93-36-71

დასრულდა თუ არა შარშანდელი საკალათბურთო სეზონი, ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი თბილისის „კაქტუსი“ მეტად ცუდ დღეში აღმოჩნდა. თავიდან გუნდს ფინანსურად ისე გაუჭირდა, რომ დაშლის პირას იყო. „კაქტუსის“ ლიდერი და საქართველოს შარშანდელი საუკეთესო კალათბურთელი ვახტანგ ნაცვლიშვილი ამერიკაში გაემგზავრა. შემდეგ „დინამოში“ გადავიდნენ ელენტი, ბერძენიშვილი და ხოშტარია. პატრონი არ ჩანდა. საქმე იქამდე მივიდა, გუნდის მწვრთნელმა თამაზ ოქროაშვილმა პრესის საშუალებით მიმართა სხვა კლუბებს, ვიშლებით და, ვისაც სურვილი გაქვთ, ჩვენი მოთამაშეები აიყვანეთო.

## «კაქტუსი» ჩემპიონატისა და ამერიკის წინ

მოულოდნელად ხსნა გამოჩნდა. „ჯორჯიანტრანზოილმა“, ვინც კარგა ხანია და ნაყოფიერად თანამშრომლობს სპორტთან, არ მისცა „კაქტუს“ დაშლის საშუალება და პატრონად მოევლინა. მისი წყალობით გუნდი გადარჩა და ვარჯიშებიც განახლდა. ორი კალათბურთელი დაიმატეს — ვითელი ზურაბ ჩუბინიძე და დინამოელი ალეკო დავითულიანი.

„კაქტუსის“ ახალი პრეზიდენტი გახლავთ დავით გაგნიძე, რომელსაც მუშაობის ჩამოყალიბებული და მიზანმიმართული გეგმა აქვს. მას ისიც სურს, რომ კაცების გუნდთან ერთად „კაქტუსში“ შეიქმნას მცირეწლოვანთა რამდენიმე გუნდი. ერთი ასეთი კოლექტივი, 1979-80 წლებში დაბადებულთა, უკვე კარგა ხანია არსებობს და მას ფირმა „კაქტუსი“ ეხმარება. რაც შეეხება „დიდ კაქტუსს“, მისი პატრონი, როგორც მოგახსენეთ, „ჯორჯიანტრანზოილი“ გახლავთ. სხვათა შორის, ამ ფირმამ ანგარიში გაუწია გუნდს და და ძველი სახელი დაუტოვა. ეს ფაქტი უდავოდ მისასალმებელია, რადგან ჩვენში დამკვიდრებული მავნე ჩვეულების თანახმად, მავან კლუბს პრეზიდენტის შეცვლისთანავე სახელიც ეცვლება ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ „კაქტუსი“ შეუდარებლად დასუსტდა — შარშანდელი ხუთეულის ოთხი მოთამაშე აღარ ჰყავს — მორიგ ჩემპიონატში ერთ-ერთი მედლის მოპოვებას მაინც აპირებს. თუ რა ხარისხის იქნება ეს მედალი, ამას ასპარეზობის მსვლელობა დაგვანახვებსო — ამბობენ მწვრთნელები.

3 ნოემბერს კი „კაქტუსი“ ისტორიული ფაქტის მომსწრეს გაგვხდის. იგი შეიქნება პირველი ქართული კლუბი, რომელიც კალათბურთის სამშობლოს, ამერიკას ეწვევა და იქაურ საუნივერსიტეტო გუნდებს შეხვდება. ქართველები ჩიკაგოელი საკალათბურთო მოღვაწისა და ცნობილი ორგანიზატორის დუეინ ვოლტზენის მიწვევით მიემგზავრებიან. 18 დღეში ჩვენები ოთხ შტატში 10 მატჩს ჩაატარებენ, მეტოქეებად კი მრისხანე საუნივერსიტეტო გუნდები ეყოლებათ: ვისკონსინი, მინესოტა, ბრედლი, გრინ-ბეი და სხვები. „კაქტუსი“ ამერიკაში 12 კალათბურთელით მიემგზავრება. გუნდის მწვრთნელის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის იყვნენ სხვა კლუბებიდან, კერძოდ, „ვითადან“ და „დინამოდან“ ნაკრების გარეთ დარჩენილი მოთამაშეები.

საფეხბურთო ტოტალიზატორი
ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 04

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 22.10 | ბარსელონა — ვალენსია | ესპ. ჩემპ. |
| 2 | 22.10 | რეალი — ტენერიფე | ესპ. ჩემპ. |
| 3 | 22.10 | ატლეტიკო — ესპანიოლი | ესპ. ჩემპ. |
| 4 | 22.10 | იუვენტუსი — პადოვა | იტ. ჩემპ. |
| 5 | 22.10 | ვიჩენცა — მილანი | იტ. ჩემპ. |
| 6 | 22.10 | პიაჩენცა — ნაპოლი | იტ. ჩემპ. |
| 7 | 22.10 | ბორუსია (მიონხ) — ვერდერი | გერმ. ჩემპ. |

№ 02 ტირაჟის შედეგები:

1. 1-5 2. 1-1 3.0-0 4. 2-1 5. 1-1 6. 6-1 7. ?-?. დებულების თანახმად მე-7 მატჩის ანგარიში ყველა ვარიანტისთვის ითვლება გამოცნობილად.

მოგებები: ხუთი მატჩი — 34 ლარი (7 ვარიანტი), ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 205 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში, შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 509 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში). რეგისტრაციის ბოლო ვადაა 14 ოქტომბერი (ჩათვლით). ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

# გაფრანგულებული ნატალი

ქარრის თასის ფინალი

ნატალი 25 (16) (ლ: კ. ფანდერვესტჰოიზენი; გ, 6ს: ლაკრუა) — დას. კონცხი 17 (12) (ლ: სტრაუსი; 4ს: სტრანსკი)

ზელანდიის პირველობის ფინალი

ოქლენდი 23 — ოთაგო 19



მაკინტოშმა ნატალს მესამედ მოაგებინა ქარრის თასი

წინა უქმეებზე საშინაო სეზონი დამთავრდა სამხრეთ აფრიკაშიც და ახალ ზელანდიაშიც. პირველგან პროვინციული ფინალი შაბათს გაიმართა დურბანის „კინგზ პარკზე", მეორეგან კი — კვირას, ოქლენდის „იდენ პარკზე".

დურბანში ლამის გამეორდა სამხრეთი აფრიკა — საფრანგეთის მსოფლიო თასის ნახევარფინალის ისტორია. მოედანი კოკისპირულ წვიმას ისევ დაეტბორა. ძირითადი მოქმედი პირნიც იგივენი იყვნენ: ჯოელ სტრანსკი, ვინაც დას.კონცხის დარმტყმელია, ფრანგი ტიერი ლაკრუა კი ამ სეზონში ნატალმა გადაიბირა მეორეხაზელ ოლივიე რუმასთან ერთად. ფრანგი დას.კონცხსაც ჰყავდა — ფრთის მორკინალი ლორან კაბანი.

წრიულ ტურნირში ორივეჯერ მასპინძელ გუნდს გაემარჯვა, ოღონდაც ორივეჯერ კარგა ხანს სტუმრები იგებდნენ. დას. კონცხმა, რომელიც 1989 წლის შემდეგ პირველად გასულიყო ფინალში, ყოჩაღად დაიწყო, მაგრამ 10 ნომრად მოთამაშე ლაკრუამ ჭკვიანური ტაქტიკით მოარჯულა მეტოქე. ნატალი პირველად მე-20 წუთზე დაწინაურდა, როცა დალალებიანმა გარემარბმა კობუს ფანდერვესტჰოიზენმა ყველას მიასწრო ლაკრუას მიერ ქეიფთაუნელთა ლელოსკენ გაგორებულ ბურთთან.

სტუმრებმა მეორე ნახევარშიც იბრძოლეს. 54-ე წუთზე მათმა 8 ნომერმა თიაან სტრაუსმა, ვის გამოც ამბობენ, გაისად ლიგაში გადადისო, ლელოთი 17:19-მდე წამოაწია თავისიანები მასპინძლებს, მაგრამ ნატალმა მაინც თავისი გაიტანა და ნაკრებიდან გაგდებული მწვრთნელის — იენ მაკინტოშის წინამძღოლობით ბოლო ექვს სეზონში მესამედ მოიპოვა ქარრის თასი.

თამაშს 52 ათასი ქომაგი დაესწრო. დურბანული სარაგბო თემი იმითაა გამორჩეული, რომ აფრიკაანსზე მეტად ინგლისურად მეტყველებს, ნამატჩევს კი "კინგზ პარკის" სანახებში გაშლილ კარვების ქალაქს შეესევა და იქ ლიანგურ ლხენას, მათებურად „ბრააის" მიეცემა. როგორც მიმომხილველებმა შენიშნეს, თუ დურბანი აქამდე ყველას ბრიტანეთის იმპერიის ნაშთად მიგვაჩნდა, ახლა მეკარვეებიც დაგვეთანხმებიან, რომ იქ ახალი ფრანგული სარაგბო ხელისუფლება დამყარებულაო.

ზელანდიის პირველობა ისევ, ზედიზედ მესამედ მოიგო ოქლენდმა, თუმც ერთობ გაუჭირდა ოთაგოსთან, რომლის შემადგენლობაში ჯეელი ვარსკვლავები — ვილსონი და კრონფელდი თამაშობენ. სტუმრები კარგა ხანს იგებდნენ, მაგრამ ბოლო ათწუთეულში მსაჯმა ოქლენდელ კარტერს საჯარიმო ლელო ჩაუთვალა.

პირველი ჯგუფიდან, რომელშიც 9 გუნდი ირიცხება, გავარდა საუსლენდი, რომელმაც თუმც რვავე მატჩი წააგო, 6 ქულა მაინც მოიხვეჭა, ვინაიდან ამდენჯერ დამარცხდა ღირსეულად — არაუმეტეს 7 ბურთის სხვაობით. მას შეცვლის თარანაქი, ვინაც მეორე ჯგუფის ფინალი 22:17 მოუგო ნორსლენდს.

ბუენოს-აირესში გაჩაღდა ახალი შეჯიბრი — „ლათინთა თასი", რომელშიც არგენტინა, საფრანგეთი, იტალია და რუმინეთი მონაწილეობენ. შაბათს მასპინძლებმა 51:16 მოუგეს რუმინეთს. გარემარბმა ხოსე ლუნამ 31 ქულა მოიხვეჭა, რაც ახალი ეროვნული რეკორდია.

ირლანდიის ნაკრების მწვრთნელად ჯერი მერფის ნაცვლად დაინიშნა ზელანდიერი მარი ქიდი, რომელიც აქამდე ირლანდიის მეორე ჯგუფის მავან კლუბსა წვრთნიდა. მარტში ავსტრალიის „ვოლაბების" მოხსნილ მწვრთნელ ბობ დვაიერს პარიზის „რესინგ კლუბთან" კონტრაქტი უთავდება. ამიტომ ფიქრობდნენ, „სამყურების" მომავალი დვაიერი იქნებაო.

ინგლისში ფეხბურთის მსგავსი სადისციპლინო კოდექსი მიუღიათ. „ლესთერისა" და ნაკრების 8 ნომერ დინ რიჩარდსს ორი ყვითელი ბარათი რომ მოუგროვდა, 14-დღიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

ყაფლან ჯანდიერი

| სამხრეთი აფრიკის ჩემპიონები | | |
|---|---|---|
| დას. კონცხი (ქეიფთაუნი) | 1889, 92, 94, 95, 97, 98, 1904, 06, 08, 14, 20, 25, 27, 29, 32 *, 36, 47, 54, 59, 64, 66, 82, 83, 84, 85, 86, 89 * | 27 |
| ჩრდ. ტრანსვაალი (პრეტორია) | 1946, 56, 68, 69, 71, 73, 74, 75, 77, 78, 79, 80, 81, 87, 88, 89 *, 91 | 17 |
| ტრანსვაალი (იოჰანესბურგი) | 1922, 39, 50, 52, 72, 93, 94 | 7 |
| გრიკვალენდი (ქიმბერლი) | 1899, 1911, 1970 | 3 |
| ნატალი (დურბანი) | 1990, 92, 95 | 3 |
| საზღვარი (ისთ-ლონდონი) | 1932 * | 1 |
| ნარინჯი (ბლუმფონტეინი) | 1976 | 1 |

* თანა-ჩემპიონი

| ახალი ზელანდიის ჩემპიონები | | |
|---|---|---|
| ოქლენდი | 1982, 84, 85, 87, 88, 89, 90, 93, 94, 95 | 10 |
| ველინგთონი | 1978, 81, 86 | 3 |
| ქენთებრი (ქრაისთჩერჩი) | 1977, 83 | 2 |
| სიუხვის ყურე (როტორუა) | 1976 | 1 |
| საგრაფოები (პუკეკოე) | 1979 | 1 |
| მანავატუ (პალმერსთონ ნორსი) | 1980 | 1 |
| ოთაგო (დანიდინი) | 1991 | 1 |
| ვაიქათო (ჰამილთონი) | 1992 | 1 |





საიუბილეო მსოფლიო თასი

I ქვეჯგუფი. 11.X: ინგლისი 46 (8ლ) — ფიჯი 0. 14.X: ავსტრალია 66 (12ლ) — ფიჯი 0; ინგლისი 46 (8ლ) — სამხ. აფრიკა 0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 112:16 | 6 |
| ავსტრალია | 3 | 2 | 0 | 1 | 168:26 | 4 |
| ფიჯი | 3 | 1 | 0 | 2 | 52:118 | 2 |
| სამხ. აფრიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 12:184 | 0 |

II ქვეჯგუფი. 13.X: ახ. ზელანდია 22 — პაპუასეთი 6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 47:30 | 4 |
| ტონგა | 2 | 0 | 1 | 1 | 52:53 | 1 |
| პაპუასეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 34:50 | 1 |

III ქვეჯგუფი. 12.X: სამოა 56 (10ლ) — საფრანგეთი 10. 15.X: უელსი 22 (14) (3ლ, 4გ, 2ა) — სამოა 10 (10) (2ლ, გ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 50:16 | 4 |
| სამოა | 2 | 1 | 0 | 1 | 66:32 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 16:84 | 0 |

ნახევარფინალები. 21.X, მანჩესტერში: ინგლისი — უელსი. 22.X, ჰადერსფილდში: ავსტრალია — ახ.ზელანდია

ფინალი. 28.X უემბლიზე

# საიუბილეო ფარსი

მონაწილეთა დონეებს შორის სხვაობა ისეთია, რომ თამაშთა უმეტესობას, მეტადრე კი პირველ ქვეჯგუფში, აზრი დაეკარგა. სამაგიეროდ, სამი მოთამაშე გამოიჭირეს დოპინგზე: სამხრეთაფრიკელ პიერ გრობელაარს სტეროიდების ხმარება დაუდგინეს, ზელანდიელ სიდ იროს ფსევდოეფედრინის კვალი უპოვეს, ფრანგი სტეფან მილიე კი თურმე ნარკოტიკს — კანაბისს მისძალებია. სამივე ცთომილი გაირიცხა მსოფლიო თასიდან, მათი დისკვალიფიკაცია კი თავ-თავის ლიგებს დაევალათ.

მეორე ქვეჯგუფში სენსაციას ელოდნენ პაპუასი „კუმულებისგან", მაგრამ მათ ვერაფერი დააკლეს ზელანდიის „კივის". მესამე ქვეჯგუფში ყველა მოხიბლა სამოამ, რომლის სახელითაც ახალი ზელანდიის რაგბის ნაკრებ „ოლ ბლექსის" ორი ვარსკვლავი — თუიგამალა და ჯონ შუსტერი თამაშობს. სამოელებმა დაანგრიეს ფრანგი „მამლები", მერე კი დიდი ომი გაუმართეს უელსსაც, რომელიც, მათი არ იყოს, ამ ოთხი წლის წინ ალორძინდა და გამოეყო ბრიტანეთს. უელსელთაგანაც მორაგბეყოფილებმა — სქოთ ქვინელმა და ჯონათან დევისმა გაოიჩინეს თავი. დევისმა შინ უკანასკნელად ითამაშა ლიგა, ვინაიდან წელსვე რაგბში ბრუნდება.



# გარი კასპაროვი

## ისევ მსოფლიო ჩემპიონია



10,5:7,5 — ასეთი ანგარიშით მოუგო გარი კასპაროვმა ვიშვანათან ანანდს პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ეგიდით გამართულ მსოფლიო პირველობის მატჩში და მეხუთედ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ნიუ-იორკში გამართულმა ამ მატჩმა 11 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე გასტანა და ვადამდე, 18 პარტიაში დასრულდა (გათვალისწინებული 20 იყო). კასპაროვმა მოიგო X, XI, XIII, XIV პარტიები, ანანდმა მხოლოდ IX, დანარჩენები ყაიმით დასრულდა.

ორთაბრძოლის მშვიდი დასაწყისი (ზედიზედ 8 ყაიმი) მართლა მშვიდობიანი როდი იყო. სინამდვილეში ღრმა ფსიქოლოგიური ჭიდილი მიმდინარეობდა. იყო მომენტი (III, IV პარტიები), როცა ანანდს დაწინაურება შეეძლო, მაგრამ ვერ გაბედა მოსაგები კომბინაციის წამოწყება. ეს არ იყო შიში, როგორც ჩანს, ინდოელმა მოჭადრაკემ ვერ ირწმუნა, რომ კასპაროვს გამორჩა შეწირვების შესაძლებლობა და იგი უბრალოდ ვერ ენდო საკუთარ თავს. სხვათა შორის, ანანდის ამგვარმა გაუბედაობამ შემდგომში კასპაროვს გაუბედვინა (და წარმატებითაც) სიცილიური დაცვის უმწვავესი დრაკონის სისტემის გამოყენება.

კასპაროვი IX პარტიის წაგებამ გამოაფხიზლა, მომდევნოშივე დაეუფლა ინიციატივას და საბოლოო გამარჯვებამდე შეინარჩუნა იგი.

თანამედროვე ჭადრაკში თეორიული დაპირისპირება უმთავრესად დებიუტში ხდება ხოლმე. ამ მატჩშიც ასე იყო. ძირითად იარაღად მეტოქეები იყენებდნენ სიცილიურ დაცვას და ესპანურ პარტიას. ანანდი (შავებით) ბოლომდე დარჩა სიცილიური დაცვის ერთგული. ამ პოპულარულ სისტემას კასპაროვიც მიმართავდა ხშირად. მაგრამ სიახლე მხოლოდ ესპანურ პარტიაში დაფიქსირდა. იგი კასპაროვმა X პარტიაში გამოიყენა და ლამაზადაც გაიმარჯვა.

ცალკე უნდა გამოვყოთ XIV პარტია. ანანდმა შავებით გაითამაშა სკანდინავიური დაცვა, რომელიც პირველად შეგვხვდა არა მარტო ამ მატჩში, არამედ ვაჟთა მსოფლიო პირველობის მატჩებში 1886 წლიდან დღემდე. საინტერესოა, რომ ეს სისტემა, რომელსაც ინდოელმა დიდოსტატმა მიმართა, დიდი ხნის წინ ქართველ მოჭადრაკეთა კვლევის საგანი იყო. იგი, მაგალითად, ბუხუტი გურგენიძეს გამოუყენებია მიხეილ ტალის წინააღმდეგ. ამ დებიუტმა ანანდს დიდი უპირატესობა მოუტანა, მაგრამ იგი ისე იყო ნირწამხდარი, რომ ყაიმსაც ვერ მიაღწია. სკანდინავიური დაცვის თამაში ანანდს მისმა სეკუნდანტმა, დიდოსტატმა ელიზბარ უბილავამ უკარნახა. კასპაროვმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ კვლავაც მტკიცედ უპყრია „ჭადრაკის მეფის კვერთხი". ანანდი კარგად კი იყო მომზადებული, მაგრამ ვერ გამოდგა თავგამოდებული მებრძოლი — „ნაკლები სისხლის" ფასად ცდილობდა ფონს გასვლას, გაურბოდა რისკს, გამწვავება-გამძაფრებას. ამიტომაც დამარცხდა ასე უფერულად.

პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის სპონსორმა ბანკმა —ინტელმა" პრიზებად გადასცა: კასპაროვს 1 მილიონი ამერიკული დოლარი, ანანდს — ნახევარი მილიონი.

ამრიგად, ამჟამად მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჰყავს — პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციისა და ფიდეს ეგიდით. ამ ორგანიზაციების შეთანხმებით, მსოფლიოს ერთი ჩემპიონი უნდა ჰყავდეს. ამიტომ გაისად, შემოდგომაზე, მოეწყობა „გამაერთიანებელი მატჩი", რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან კასპაროვი და ფიდეს ეგიდით „მსოფლიოს პირველობაში", ესე იგი, კარპოვ — კამსკის მატჩში გამარჯვებული. მაგრამ დღემდე გაურკვეველია, როდის გაიმართება კარპოვის და კამსკის შეხვედრა, არადა, იგი 1995 წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს.

ორიოდე დღის წინ გავრცელდა ანატოლი კარპოვის განცხადება. იგი უჩივის ფიდეს პრეზიდენტს ფლორენსიო კამპომანესს, აქაოდა, შეგნებულად აგვიანებს ჩემი და კამსკის მატჩის დაწყებასო. კარპოვის თქმით, უკვე ცნობილი არიან მასპინძლები — ალჟირი და რუსეთი, მაგრამ კამპომანესს აქამდე არ მოუძებნია სპონსორი, არ განუსაზღვრავს მატჩის საპრიზო ფონდი, რომელიც კასპაროვ — ანანდის მატჩის ფონდზე ნაკლები არ უნდა იყოსო. ბოლოს კარპოვი იმასაც მოითხოვს, კამპომანესი ფიდეს პრეზიდენტობიდანაც გადადგესო. როგორც ჩანს, ამ და სხვა საკითხებზე მსჯელობა მოუწევს ფიდეს კონგრესს, რომელიც 18-25 ნოემბერს გაიმართება კატარში.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი

## ზურაბ მაისურაძე



დაგვაკლდა კაცი. ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 56 წლისა გარდაიცვალა ცნობილი მწვრთნელი და სპორტის მოღვაწე ზურაბ მაისურაძე.

70-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოში საიალქნო და სათხილამურო სპორტის განვითარება წარმოუდგენელია ზურაბ მაისურაძის უდიდესი ძალისხმევის გარეშე. ზურაბს, როგორც ნამდვილ პროფესიონალსა და ღრმად ინტელექტუალურ პიროვნებას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მომთხოვნელობითა და სითბოთი შეზავებული ურთიერთობა ჰქონდა სპორტსმენებთან. დღეს ყველასათვის სამაგალითოა ოსტატისა და შეგირდის ისეთი კავშირი, როგორიც ბატონ ზურაბსა და მსოფლიოში სახელგანთქმულ აფროსანს — გურამ ბიგანიშვილს შორის ჩამოყალიბდა წლების განმავლობაში, რაც საბოლოოდ დიდ მეგობრობაში გადაიზარდა.

ზურაბმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა თბილისელ და არა მხოლოდ თბილისელ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის სამთო-სათხილამურო სპორტის დანერგვა-განვითარებაში. სწორედ მისი ინიციატივით დაარსდა განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სათხილამურო სკოლა, სადაც გუდაურის ტრასებზე მისი ხელმძღვანელობით ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ეზიარა სპორტის ამ ლამაზ სახეობას.

ზურაბ მაისურაძის ინტერესთა არეალი მხოლოდ სპორტით არ შემოიფარგლებოდა. როგორც მრავალმხრივ განსწავლულ პიროვნებასა და ნამდვილ ინტელიგენტს, მას ასევე დიდი მეგობრობა აკავშირებდა ჩვენს მწერლებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან, ხელოვნების, კულტურისა და სხვა დარგების წარმომადგენლებთან.

მართლაც რომ დიდებული და სანიმუშო იყო ზურაბი მრავალრიცხოვან მეგობართა წრეში.

ზურაბ მაისურაძეს, ბევრ ჯილდოსთან ერთად, დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდებაც ჰქონდა მინიჭებული, ამაყობდა კიდევაც ამით, მაგრამ მისი ყველაზე დიდი მონაპოვარი ის უზომო სიყვარული და სითბოა, რომელიც მან დატოვა მეგობრებსა და ნათესავ-ახლობლებს შორის.

მეგობრები

## აქეთური, იქითური

ბრიტანელ მედიკოსთა ასოციაცია ისევ ითხოვს კრივის აკრძალვას. საბაბი ისაა, რომ კვირას გლაზგოს საავადმყოფოში გარდაიცვალა 25 წლის მსუბუქწონოსანი ჯეიმზ მარი, რომელიც პარასკევს, ბრიტანეთის ჩემპიონატის [illegible] მე-12 რაუნდის მიწურულს [illegible] დრიუ დოჰერთიმ. მარი იმარჯვებდა. მისმა მარცხმა ისე გადარია ქომაგები, რომ ნოკ[illegible] გამართეს. 600 დამსწრიდან 150 ერთურთს შეება სკამებითა და ბოთლებით. ხუთი მოჩხუბარი დაიჭრა. მაყურებლების მუშტი-კრივის გამო ექიმებმა დროულად ვერ მიაღწიეს მარიმდე. იგი ჯერ ვითომ ყოჩაღად იყო, მაგრამ მერე ცხვირიდან სისხლი წასკდა და გონი დაკარგა. ჟანგბადის ბალიშებით მოკრივე ოდნავ მოასულიერეს, ჰოსპიტალში კი ტვინში გაჟონილი სისხლი მრავლად ამოუღეს, მაგრამ მაინც ვერ იცოცხლა. მედიკოსებს პარლამენტში ბევრი თანამოაზრე ჰყავთ. ბრიტანელი კანონმდებლები 1982 წლიდან აპირებენ კრივის დაყადაღებას. მათ უკვე აუკრძალავთ მამლების ჩხუბი, აქაოდა ფრინველების აბუჩად აგდებააო. კრივის მოწინააღმდეგეებს ანალოგიური არგუმენტი ვერ გამოადგებათ, ვინაიდან მამლისგან განსხვავებით მოკრივემ მშვენივრად უწყის, რაც მოელის.

*

მიგელ ინდურაინმა კვირას, ბოგოტაში კი შეუტია საათიანი ველორბოლის ტონი რომინგერისეულ მსოფლიო რეკორდს, მაგრამ ნახევარი საათის თავზე დანებდა, ვინაიდან იმ დროისთვის სარეკორდო გრაფიკს უკვე 40 წამით ჩამორჩებოდა.

*

ბალახის ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონმა პაკისტანმა შინ, ყარაჩში ორი მარცხი იწვნია: კორეასთან 1:2 წააგო, ოლიმპიურსა და ევროპის ჩემპიონ გერმანიასთან კი 0:2. კორეელებთან კარიერაში პირველად გააძევეს ვეტერანი კაპიტანი შაბაზ აჰმედი.

*

ნიკ ბოლეტიერის შეგირდმა, 18 წლის მელბურნელმა გოლიათმა მარკ ფილიპუსისმა ტოკიოს ჭერქვეშა შეჯიბრში ზედიზედ დაამარცხა ედბერგი, სტივენი (ახ. ზელანდია), კრაიჩეკი, დრიკმანი (გერმანია), მაგრამ კარიერის პირველი ტიტული მაინც ვერ მოიგო — ფინალი მსოფლიოს მეხუთე ჩოგან მაიკ ჩანგთან 3:6, 4:6 წააგო. ფილიპუსისს წინა კვირაშიც ფინალში შეემთხვა მარცხი — კუალა-ლუმპურის ტურნირში 20 წლის ჩილელმა მარსელო რიოსმა 7:6, 6:2 აჯობა.

*

ვენთვორსში „ტოიოტას" გოლფის სამატჩო მსოფლიო პირველობის ფინალში სამხრეთაფრიკელმა ერნი ელსმა ავსტრალიელი სთივ ელქინგთონი დაამარცხა და ტიტული დაიცვა. იოჰანესბურგელმა ჯეელმა ნახევარფინალში გერმანელი ლანგერის ძლევას იმდენი სულიერი და ფიზიკური ენერგია შეალია, რომ თუმც დღეს 26 წლისა შესრულდა, გამარჯვების შემდეგ აღიარა, იქეთა კვირაში 30-ისა გავხდებიო. ერნიმდე ზედიზედ ორგზის ჩემპიონები ყოფილან გარი პლეიერი, ჰეილ ერვინი და სევერიანო ბალესტეროსი.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29